# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 აგვისტო, 2010 წელი.

№148 (6514)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## - დევნილი ვარ, პოდა, მალე ბილ გეიტსსაც ვაჯობებ!



ჩვენ კი რას არ ვაბრალებდით!

მართლაც, რა ძნელი და გაუსაძლისიც კია ჩვენისთანა გაუგებარ-უმადური ხალხის თავკაცობა სააკაშვილისნაირი რაინდისთვის! ②

## ერთი კაცის ინიცირებული კონსტიტუცია თუ ათიათასობით მოქალაქის მოწონებული პროექტი?!.



③

## ექსპერტი ნიკა ჩიტაძე და რუსული ხანძრის ამერიკული ბოლი

⑤



## ანზორ ერქომაიშვილი – 70



⑥

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...

## მართლმადიდებლური ჯვარი,



ცრუმორწმუნეები ⑦

ანუ რატომ ეფარებიან სექტანტები ქრისტიანულ სიმბოლოებს?



②

## რა დაკარგა საქართველომ?

BBC RUSSIAN.com

პოზიცია ④

რატომ გამოიყურება ქართული მხარე ასე პრიმიტიულად ომის დასრულების ორი წლისთავზე?..

## 2008 წლის აგვისტო

⑧



პოზიცია

# რატომ გამოიყურება ქართული მხარე ასე პრიმიტიულად ომის დასრულების ორი წლისთავზე?..

*რუსეთ-საქართველოს ომის ორი წლის შემდეგ ჩამოყალიბებულ რეალობაზე, კონფლიქტის მოგვარების სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს, პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.*



**— ბატონო სოსო, რუსეთ-საქართველოს ომიდან ორი წელი გავიდა, როგორ შეაფასებდით ორი წლის შემდეგ ჩამოყალიბებულ რეალობას? დასავლეთის, რუსეთისა და ქართული მხარის პოზიციებს?**

— მოგეხსენებათ, ორი წელი ისტორიისთვის არცთუ დიდი პერიოდია, მაგრამ სახლ-კარდამწვარ და ახლობელდაღუპულთა წარმოდგენით ეს ჯოჯოხეთის ხანგრძლივი გზა გახლდათ. შესაძლოა, საერთაშორისო პარამეტრებით ჩვენი კონფლიქტი და განვლილი ორი წელი საინტერესო ყოფილიყო შესასწავლად და გარკვეული პოლიტიკური საქმიანობის გასააქტიურებლად ნაბიჯების მოძიებისათვის, მაგრამ, შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, პრაქტიკულად, ყინული არ დაძრულა. უფრო მეტიც, ჩვენ ცხვირწინ მივიღეთ მძლავრი რუსული სამხედრო ბაზა, რომლის საქართველოდან გაყვანას ლამის 200 წელი დასჭირდა. ჩვენივე უმეცრებით, ორიოდ წელიწადში ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე მივიღეთ ის, რის წინააღმდეგაც ორი საუკუნე ვიბრძოდით. აქედან გამომდინარე, შედეგის არდამდგარ რეალობასთან გვაქვს საქმე და რაიმე ტიპის წარმატებაზე როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, ვერ ვისაუბრებთ. სატრაბახო სულაც არ გახლავთ, რომ რუსეთმა 2008 წელს ვერ მოახერხა ხელისუფლების შეცვლა, რადგან ეს მიზანი რომ დაესახა, ერთმანეთს რომ დამთხვეოდა რუსეთის გაცხადებული და რეალური მიზნები, ქართული ხელისუფლების პირობებში მიზანს უთუოდ მიაღწევდა. რუსეთს არასოდეს უთქვამს, რომ აინტერესებს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაპყრობა, მაგრამ ეს გააკეთა ისევე, როგორც არ უთქვამს, რომ საქართველოს ძირძველ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაჩენის მზაობა აქვს, მაგრამ გააკეთა. რუსეთი საერთაშორისო დონეზე მუდმივად აცხადებდა, რომ საქართველოს ხელისუფლება შეუსაბამოა, თუმცა შეგნებულად ივიწყებდა, რომ დღევანდელი ხელისუფლების ასპარეზზე გამოჩენამდე, ანუ 20 წლით ადრე, რუსეთმა პირველი დიდი ნაბიჯი გადადგა ამ ტერიტორიების ოკუპაციისთვის. ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისი რეალურად იყო ჩამოცილებული ამ რეგიონების მართვის შესაძლებლობას. ნურც იმაზე ვილაპარაკებთ, რომ რუსეთს საქართველოზე გამავალი ალტერნატიული ენერგოტრასები აღარდებდა და ეს იყო მიზეზი აგრესიის და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აუტანლობის. მაშინ, როდესაც თბილისმა ცხინვალსა და სოხუმზე კონტროლი დაკარგა, ბუნებაში არც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი არსებობდა.

გამომდინარე იმ ვითარებიდან, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცალკე დასავლეთის და ცალკე საქართველოს გზაზე, რამაც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა. ჩემი აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში დასავლეთის, რუსეთისა და საქართველოს მიერ წარმოებულ პოლიტიკას შორის ყველაზე უფრო წარმატებული რუსული მზაკვრული პოლიტიკაა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ დღეს არსებულ ვითარებაში დაძაბულობის შენარჩუნება და გაღვივება, რაც უთუოდ რუსეთის ინტერესებშია, უფრო ადვილი მისაღწევია, ვიდრე — ამავე დაძაბულობის შემცირება და გაუვნებელყოფა; მით უმეტეს, თუ საკუთარი მიზნის შესრულებაში, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსებს სწორედ საქართველოს ხელისუფლება უწევს დახმარებას.

**— ვაშინგტონი და ბრიუსელი ხშირად აცხადებენ, რომ მოსკოვთან საქართველოს საკითხში აზრთა სხვადასხვაობა აქვთ, მაგრამ ეს არ გამხდარა დასავლეთის მხრიდან რუსეთზე სისტემური ზეწოლის საფუძველი. ასეთ ვითარებაში რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს?**

— ძალაუნებურად მახსენდება გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩინეთის თავზე მუდმივად მფრინავი ამერიკული დაზვერვის თვითმფრინავები და ამასთან დაკავშირებით ჩინეთის მხრიდან ამერიკისთვის მიცემული 500-ზე მეტი უკანასკნელი გაფრთხილება, ანუ პეკინმა ვაშინგტონი უკანასკნელად 500-ზე მეტჯერ გააფრთხილა. დაახლოებით, ასე ვითარებაში ვართ ჩვენც. ყველა შეხვედრაზე ტრაფარეტულად იმეორებენ, რომ საქართველოს საკითხში მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ. ამ ფრაზას ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთია, ამ ფრაზის სრულიად პრიმიტიული გამეორება და დიპლომატიურ პრაქტიკაში შემოღება, მაგრამ ამავე დროს, ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი შეგუებულია იმას, რაც არის, ხოლო რა იქნება მომავალში, ამაზე მომავალში იმსჯელებენ.

იხ. 4 გვ.

წკეპლიკა

# მოიარა ბოგოტა, დაგვიხეთქა ცოტ-ცოტა...

ევროპის ქვეყნების პრეზიდენტებიდან თურმე მარტო საქართველოსი მიუწვევიათ კოლუმბიის ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე — ასე გამოაცხადა შესაბამისმა პრესცენტრმა და მგონი, კიდევ ერთხელ ბოლქვ-ბოლქვად მოგვაბოლა...

საგულისხმოა, ამოდენა ევროპის ამდენი სახელმწიფოს მეთაურს შორის ეს ჩვენი უმაღლესი პირი რა ნიშნით გამოარჩიეს კოლუმბიელებმა (რა გამოსაჩენი პირი მაგას აქვსძ — ჭკუით, პოლიტიკოსობით, დიპლომატობით? ნეტავ, „პატრიარქის შემოდგომა“ მაინც თუ აქვს წაკითხული?..

არადა, რაღაცა პოლიტიკოსია, იმითაც დაამტკიცა, რომ იმ ცხრამთასიქეთური და ზღვის დონიდან გვარიანად ამაღლებული ბოგოტიდან დაუწყო თითის ქნევა და მუშტის მოღერება (მე შენ გეტყვი და, გრძელი კიდურები არა აქვს თუ?..ძ ოკუპანტ რუსეთს. რა შუაში იყო ეს იმ ლონისძიებასთან, ან ეგებ თავში ან ბოლოში იყო? რუსეთზე ასეთი უდროო და უადგილო მიხტომით, უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ ჩააყენა მასპინძლები?




ისიც საკითხავია, ვარშავაში რომ ასევე შედგა პოლონეთის ახალი ლიდერის „კურთხევა“ — იქ რატომ არ მიიწვიეს მიხეილ-ბატონი, პოლონეთი უფრო მეტი მეგობარი არ არის ჩვენი კოლუმბიაზე?

ვუსმენდი ბოგოტიდან ქართულ „მონოლოგს“ და მერამდენედ ვფიქრობდი: ამ კაცს ან სკოლაში არ ჰყავდა კლასის დამრიგებელი, ან ახლა არა ჰყავს ჭკუის დამრიგებელი-მეთქი?

...ასეა თუ ისე, პირადი ჩამოურეცხავი თავლაფდასხმის ზუსტად ორი წლისთავზე განერიდა თბილისს და მოიარა ბოგოტა, რას მირბოდა-მორბოდა, რა მიჰქონდა-მოჰქონდა?

ან იმ პეტრე ცისკარიშვილის წაყვანა რაღა იყო? დედა, ბიჭო, რას დაგრიალებენ ამ გაძვალტყავებული ქვეყნის ხარჯზე!..

ლუკა გორგაძე

პოზიცია

# მთავარია, რაც ქვეყნის მომავალს სჭირდება და არა — სააკაშვილის გუნდს

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტსა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას

ქართულ კონსტიტუციონალიზმში ნეგატიურ ტრადიციად დამკვიდრდა სახელმწიფოს მეთაურის მიერ ქვეყნის მმართველობის სისტემის პირად პოლიტიკურ ამბიციებზე მორგება. ნაკლოვანი კონსტიტუციური რეფორმები (1992, 1995, 2004, 2010 წწ.ძ, რომლებიც კონსტიტუციონალიზმის კონცეპტუალური პრინციპების იგნორირებით ხორციელდებოდა, მმართველი პარტიების აქტიურ პოლიტიკად ჩამოყალიბდა. ყოველი ასეთი მცდელობა ინიციატორთა წარმოდგენაში ფორმირებულ ე.წ. სამართლებრივ კონფიგურაციაზე ახალი მოდელის მორგებით მთავრდება. ასე იქნება ახალ კონსტიტუციურ პროექტთან დაკავშირებითაც, რამდენადაც იგი უკვე აპრობირებული იდეოლოგიის პროდუქტია.

ამ ახალი რეფორმის შედეგად „დემოკრატიის მშენებელ“ საქართველოში (სხვათა შორის, პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან ერთადერთ სახელმწიფოშიძ მეოთხე გარდამავალი პერიოდის პერსპექტივა იკვეთება. მთელი ამ რეფორმის წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასება, ხოლო კონსტიტუციური კანონპროექტის „ევროპული დონის კონსტიტუციების ანალოგად“ გამოცხადება სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივი ცინიზმი.

იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციური რეფორმა ზოგიერთ პოზიტიურ სიახლესაც შეიცავს, მეტისმეტად ბევრია სადავო ან ერთმნიშვნელოვნად მიუღებელი საკითხიც (სხვათა შორის, საფუძვლიან ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რომ სამი წლის შემდეგ ასამოქმედებელი კონსტიტუციური კანონის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის პოლიტიკურად მკვდარი სეზონი იქნა შერჩეული. ამას ემატება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელობის განცხადება — კომისიის მიერ „დადგენილი“ პრინციპები შენარჩუნებული იქნებაო და, გამოდის, ხელისუფლებამ ძალაუფლების ძირითად წყაროს — ხალხს — განხილვა-დებატების შესაძლებლობა მოუსპოძ.

იხ. 5 გვ.

ევრიკა!

# ჩვენ კი რას არ ვაბრალებდით!

## მართლაც რა ძნელი და გაუსაძლისიც კია ჩვენისთანა გაუგებარ-უმადური ხალხის თავკაცობა სააკაშვილისნაირი რაინდისთვის!

**ნათქვამია, ბედი მომეცი და თუნდაც სანეხვეზე გადამაგდეო!**

**ანუო, სულაც ნებისმიერ ღატაკზე უქონელი გამხადეო!! ბედის შეწევნით მაინც ბედს ვეწევიო!!!**

**ამის მრავალი მაგალითი ვიცით.**

**გუშინ მივხვდი, რომ მცნება „სანეხვის“ შეცვლა სავსებით წარმატებით შეიძლება (ბოდიშის მოხდით) სიტყვებით — „დევნილი“ და „დაზარალებული“.**

**კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვანს და ჩემში შინაგანად გარდამტეხ რამეს მივხვდი გუშინ, რამაც, ჩემდაუნებურად, იმ გენიოსივით „ევრიკა“ წამომაძახებინა.**



თუმცა ამაზე წერილის ბოლოს მოგახსენებთ. ჯერ კი იმას გეტყვით, საიდან მოვიტანე სიტყვები „დევნილ-დაზარალებული“ და რატომ მაინცდამაინც ისინი?

> **„დევნილთა და დაზარალებულთა განსაკუთრებულობა ის არის, რომ ცხოვრებაში უფრო მეტი შანსი აქვთ, წარმატებას მიაღწიონ“.**

ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. გუშინ president.gov.ge საიტიდან ავიღე...

— მართალიაო! — წამოიძახა ჩემმა ენაკვიმატმა ნაცნობმა, — და ერთი კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა: **ვერიკო ქობალიას ოჯახი ლტოლვილად რომ არ ქცეულიყო, კანადაში არ გადასულიყო და იქ პურის ცხობა არ დაეწყო, ვერონიკა როგორ და რა დამსახურებისთვის გამინისტრდებოდაო?**

მთლად კი ვერ დავეთანხმე, მაგრამ არ შევწინააღმდეგებივარ.

მთლად ვერ დავეთანხმე-მეთქი, იმად ვამბობ, რომ **პრეზიდენტი შემთხვევით რომ არ შეხვედროდა მას ერთ-ერთ კანადურ სტრიპტიზბარში და თვალშიც არ მოსვლოდა მის დაიკოსთან ერთად!..**

თანაც ჩემთვის მთავარი ნაცნობთან კამათი კი არა, იმის შეგრძნება იყო, რამაც ევრიკა წამომაძახებინა:

რამდენჯერ გვიკრიტიკებია მეც და ჩემს კოლეგებსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდიც, ჩვენი აზრით, მრავალი მთლად უგვანო თუ არა, თუნდაც გაუმართლებელი მოქმედებისთვის!

ახლა, პრეზიდენტის ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ, კი მივხვდი, სინამდვილეში რასაც ისახავდა მიზნად **ხელისუფლებისგან ძალადობა, ბიზნესის რეკეტი, მომიტინგეთა რბევა თუ ცემა-ტყეპა, ტერორი, მკვლელობა, უსამართლობა-უსასამართლობა, ტოტალური უმუშევრობა, უთავობის გამო ტერიტორიების დაკარგვა და ასე შემდეგ...**

ქვეყანას დაღუპვამდე მიიყვანსო, რომ გვეგონა, თურმე ეს კაცი სინამდვილეში ყველა ამ მოქმედებით მხოლოდ ჩვენზე და ჩვენს კეთილდღეობაზე ფიქრობს: ცდილობს, რომ ჩვენ, მიუხვედრელი და გაუგებარ-უმადური ხალხი, გვაიძულოს, დავტოვოთ ჩვენი სახლ-კარი, სამშობლო და გადავიხვეწოთ, დევნილები და დაზარალებულები გავხდეთ.

**და აი, სწორედ მაშინ გვექნება წარმატების მეტი შანსი!**

**აი, თურმე რისთვის წვალობს და იკლავს თავს მიწყივ ჩვენზე მოფიქრალი პრეზიდენტი სააკაშვილი!**

**ჩვენ კი! ვაი ჩვენს პატრონს...**

**მართლაც, რა ძნელი და ხშირად გაუსაძლისიც კია ჩვენისთანა გაუგებარ-უმადური ხალხის თავკაცობა სააკაშვილისნაირი რაინდისთვის.**

**რას იზამთ, როგორმე უნდა გაგვიძლოთ, პრეზიდენტო!**

რუსლან რუსია

კონსტიტუცია

*„ვარდების რევოლუციის“ გამომწვევი კრიზისის მომწიფებას რვა წელიწადი დასჭირდა (1995-2003 წ.წ.), ხოლო ახალი კრიზისის ჩამოყალიბებას — ოთხი (2003-2007). ქვეყანაში კონსტიტუციური მართლწესრიგის დამყარების პირველი მცდელობა მარცხით დასრულდა: „რევოლუციურმა“ ხელისუფლებამ მაშინვე შეცვალა არსებული საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი სახელმწიფოს მოწყობის იმ მოდელით, რომელიც თეორიაში სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის სახელწოდებითაა ცნობილი და რომელშიც არსებითად დარღვეულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი“...*

*ეს ამონარიდი აღებულია საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის კონცეფციის შესავლიდან. თხუთმეტი წლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში მეორედ დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება, რომელსაც ბევრი თანამდევი პრობლემა ახლავს და უკვე სპეციალისტთა წინასწარი პროგნოზით, ადვილად შესაძლებელია მორიგი მცდელობაც მარცხით დამთავრდეს.*

*გვესაუბრება საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი **ზაქარია ქუცნაშვილი**, რომელიც კიდევ ერთხელ შეეცდება, გააანალიზოს სახელმწიფო კომისიის შემოთავაზებული კანონპროექტი და დაარწმუნოს მკითხველი საზოგადოებრივი კომისიის შემუშავებული საკონსტიტუციო ვარიანტის მართებულობაში.*

# ერთი კაცის ინიცირებული კონსტიტუცია თუ ათიათასობით მოქალაქის მოწონებული პროექტი...



## რა არის საზოგადოებრივი კომისიის მიერ მომზადებული კონსტიტუციის მთავარი ხიბლი?

**— ბატონო ზაქარია, არის თუ არა ერთი და იგივე იდეები გატარებული სახელმწიფო კომისიისა და თქვენ მიერ შემოთავაზებულ საკონსტიტუციო მოდელში, როგორც ამას ავთანდილ დემეტრაშვილი ამტკიცებს?**

— გამიჭირდება ამის თქმა, რადგან ძალიან თვისებრივი განსხვავებებია. ჩვენ ახალი კონსტიტუციის შექმნისას იმ ფილოსოფიიდან გამოვედით, რომ ქვეყნის ძირითადი კანონი მარტო ხელისუფლების მოწყობის მიზნებს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ყველა იმ ძირითად მოთხოვნას უპასუხოს, რომელიც ქართულ სახელმწიფოსა და ხალხს სჭირდება. შესაბამისად, ჩვენ ისეთი მოდელი ავარჩიეთ, რომელიც, ერთი მხრივ, მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობას უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი, საზოგადოებასა და ოპოზიციას მისცემს ბერკეტს, მთავრობის საქმიანობა აკონტროლოს.

ამავდროულად, აუცილებელია ისეთი საარჩევნო სისტემის შემოღება, რომელიც მოგვცემს ამომრჩევლის ნების შესატყვისი შედეგის მიღებისა და, შესაბამისად, ქვეყანაში მოქმედი ძირითადი ძალების პარლამენტში წარმოდგენის შესაძლებლობას.

აი, ეს სამი ძირითადი პოსტულატი გვიბიძგებს იქითკენ, რომ საზოგადოებას საპარლამენტო მმართველობის მოდელი შევთავაზოთ. ეს მოდელი აბსოლუტურად განსხვავდება დემეტრაშვილ-შარმანაშვილის (ახლა უკვე სააკაშვილ-დემეტრაშვილის) საკონსტიტუციო მოდელისგან, რომელიც, ვერ გაიგებ, საპრეზიდენტოა, შერეულია თუ არეულია.

**— სახელმწიფო კომისიის შემოთავაზებულ ვარიანტში თითქმის არაფერია ნათქვამი საარჩევნო სისტემის შეცვლაზე, რომელიც წესით უნდა ყოფილიყო მომავალი პარლამენტის სამართლიანი დაკომპლექტების ბერკეტი...**

— დიახ. სააკაშვილის კონსტიტუციის კონცეფცია მხოლოდ იმაზეა ორიენტირებული, როგორ მოეწყოს სახელმწიფო ხელისუფლება, ისიც იმ პრინციპით, რომ მანევრირების საშუალებას ტოვებს — ყოფილი პრეზიდენტი რა თანამდებობას დაიკავებს: პარლამენტის თავმჯდომარისა, თუ პრემიერ-მინისტრის პოსტს ამჯობინებს, კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

მათი კონცეფციით უუფლებო რჩება პარლამენტი და ოპოზიცია, ხოლო საზოგადოება — კონტროლის ბერკეტების გარეშე. თუნდაც ის, რომ გუბერნატორებს პრემიერ-მინისტრი დანიშნავს, მათი კონცეფციის დიდი ნაკლია. ეს ის სახელმწიფო მოხელეები არიან, რომლებიც აქამდეც აკონტროლებდნენ და ასევე რჩებიან საქართველოს ცხრა რეგიონის კონტროლის მექანიზმად, ნაცვლად იმისა, რომ ვიფიქროთ ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე, აღარ დავუბრუნდეთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემოერთების ყბადაღებულ თემას. ეს პრობლემა არამც და არამც ხელს არ უშლის საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის მოწყობას. ეს არის მცდარი მოლოდინი. ჩვენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ფაქტობრივად ვერ ვაკონტროლებთ. ამიტომ საზოგადოებრივი კომისიის კონცეფციის პრინციპი ასეთია: (ერთს პლუს სამი, პლუს ცხრა) ანუ დედაქალაქი, სამი ავტონომია და ცხრა მხარე. ამრიგად მივიღებთ ტერიტორიული მოწყობის ორდონიან სისტემას: ქვედა დონე — მსხვილ მუნიციპალიტეტს, ხოლო ზედა დონე — ავტონომიებსა და თვითმმართველ მხარეებს (და არა ფედერაციის სუბიექტებს). აი, ეს რგოლები ხელს შეუწყობს რეგიონულ განვითარებას.

**— ეს ნიშნავს თუ არა დეცენტრალიზაციის პრინციპების შემოღებას?**

— რა თქმა უნდა, ნიშნავს, რადგან ჩვენ შემოგვაქვს ზიარი გადასახადის პრინციპი. აიკრიფოს გადასახადი, მაგრამ წინასწარ იქნება ცნობილი რამდენი დარჩება რეგიონს (დღეს, როგორც იცით, აკრეფილი გადასახადები თავს იყრის ცენტრალურ ბიუჯეტში და შემდეგ ნაწილი, ტრანსფერის სახით, უბრუნდება რეგიონს. ამ გზით თვითმმართველობის დამოუკიდებლობა ფერხდება). თბილისი წყვეტს, რეგიონში სად გაკეთდეს ავტობუსის გაჩერებაც კი, რაც აბსოლუტურად ზღუდავს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ხარისხს. სახელმწიფო კომისიის კონცეფციით ამ მხრივ მნიშვნელოვნად არაფერი იცვლება.

**— ახალი სახელმწიფო საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები იზღუდება. იგივეა გათვალისწინებული თქვენს ვარიანტშიც. პრეზიდენტი დგას უფრო მაღლა თავის უფლება-მოვალეობებით თუ პრემიერ-მინისტრი?**

— საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციით — ასე ვთქვათ, პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის მთავარსარდალი და უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობების საკითხებში. და ის წარადგენს პრემიერ-მინისტრს გამარჯვებული პარტიიდან. ჩვენს კონსტიტუციაში თითქმის იგივეა. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მკვეთრად ზღუდავს პრეზიდენტის უფლებას, დამოუკიდებლად გამოსცეს სამართლებრივი აქტები.

**— თანაც თქვენი საკონსტიტუციო მოდელის მიხედვით პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი.**

— ანუ პრეზიდენტს არ ირჩევს ხალხი პირდაპირი წესით. გასულმა წლებმა დაგვარწმუნა, რომ როცა პრეზიდენტს ელექტორატის მხარდაჭერა აქვს, ხოლო ოპოზიციასა და საზოგადოებას არა აქვს კონტროლის მექანიზმები, ეს ადამიანები ძალაუფლების ცდუნებას ვერ უძლებენ. ამიტომ ჩვენი კონცეფციის მიხედვით პრეზიდენტი არბიტრის ფუნქციას შეასრულებს. არბიტრისთვის კი სრულებით არ არის აუცილებელი პოლიტიკური პროგრამა. თუკი წარმოიშვება კრიზისი პარლამენტსა და მთავრობას შორის, სწორედ მაშინ ამუშავდება პრეზიდენტის ინსტიტუტი იმ რეგულაციებით, რომელიც მას კონსტიტუციაში ეწერება.

**— რა არის, თქვენი აზრით, სახელმწიფო კომისიის პროექტის ნაკლოვანება ასეთ შემთხვევაში?**

— ნაკლოვანება ისაა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში პრეზიდენტი მთავრობას უფრო უჭერს მხარს, ვიდრე პარლამენტს თუ, ვთქვათ, პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებს მთავრობას, პრეზიდენტს შეუძლია, პარლამენტი დაითხოვოს, რაც ჩვენი, აზრით ძალიან მცდარი შეხედულებაა. პარლამენტს თავისი დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს. პარლამენტის დათხოვნის საფუძველი შეიძლება ბიუჯეტის დაუმტკიცებლობაც კი გახდეს, არადა, ხანდახან ეს პოლიტიკური ჟესტი იმის დადასტურებაა, რომ დეპუტატი მთავრობის ხედვას არ ეთანხმება და მხარს არ უჭერს. ამიტომ სააკაშვილ-დემეტრაშვილის პროექტით პარლამენტი ისეთივე უუფლებო რჩება, როგორიც არის და პრეზიდენტსა და პრემიერს იმის უფლებას უტოვებს, ყოველთვის დააშანტაჟონ პარლამენტი.

**— ანუ, მოკლედ და კონკრეტულად რომ ვთქვათ, რაშია განსხვავება საპრეზიდენტო და საპარლამენტო მთავრობას შორის?**

— მთავარი განსხვავება ისაა, თუ ვისზეა დამოკიდებული მთავრობის ფორმირება. თუ საპარლამენტო არჩევნები უდევს საფუძვლად მთავრობის დაკომპლექტებას, მაშინ საპარლამენტო რესპუბლიკაა. მაგრამ თუ პრეზიდენტი აკომპლექტებს მთავრობას, საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ჩვენი კონცეფცია კი ასეთია: ხალხმა აირჩიოს პარლამენტი, პარლამენტმა — მთავრობა...

**— თუმცა თქვენეული მოდელი თითქოს საპარლამენტო ტირანიის ელემენტებსაც შეიცავს, ყოველ შემთხვევაში ასეთი „ბრალდება“ გაისმა ოპონენტებისგან.**

— თუ ბევრი ადამიანის მმართველობას ერთი ადამიანის მმართველობა სჯობს, მაშინ კი. ჩვენ ვამბობთ, რომ — პირიქით. შეიძლება ტირანია ბევრი ადამიანის მმართველობამაც გამოიწვიოს, მაგრამ ამის ალბათობა ნაკლებია, ვიდრე ერთი ტირანის ჩამოყალიბებისა. შანსი ნაკლებია იმისა, რომ 150 ადამიანი ერთბაშად გაგიჟდება და ადამიანების მოკვლინების, ქონების დაყაჩაღების, ადამიანების დარბევის ბრძანებებს გასცემს და ა. შ., ვიდრე ერთი კაცი, რომელიც არავინ იცის, კარს უკან რას აკეთებს.

ჩვენი პროექტის მიხედვით, მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების უფლება აქვს პარლამენტს იმ შემთხვევაში, თუ იმ დღესვე შეძლებს ახალი მთავრობის არჩევას. ჩვენი აზრით, კრიზისის წარმოშობის შემთხვევაში პარლამენტმა უნდა შეძლოს მთავრობის არჩევა იმავე დღეს, რათა ქვეყანა არ დარჩეს აღმასრულებელი ხელისუფლების გარეშე. სახელმწიფო კომისიის მიხედვით, ქვეყანაში 70-80 დღის განმავლობაში შეიძლება ვერ ჩამოყალიბდეს მთავრობა.

და კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენსა და სახელმწიფო კომისიის კონცეფციას შორის ისაა, რომ საზოგადოებრივი კომისიის კონცეფციის მიხედვით, პრეზიდენტი ქვეყნის უმაღლესი მათავარსარდალი არის მხოლოდ მშვიდობიანობის დროს. რადგან ვაცნობიერებთ, რომ სამხედრო საქმე ძალიან ცოტა პოპულარულმა ადამიანმა იცის, რომელიც შესაძლოა პრეზიდენტი გახდეს. აქედან გამომდინარე, ომის დროს პრეზიდენტი დელეგირებას უკეთებს ომის სარდალს, ვინმე სამხედრო პირს, რომელმაც ომის წარმოება იცის. ეს არის ჩვენი კონცეფციის მთავარი „ხიბლი“.

**— სახელმწიფო კომისიის კონცეფციის მიხედვით, გვეყოლება ძლევამოსილი პრემიერ-მინისტრი. თქვენს პროექტში მას რა ფუნქცია ენიჭება?**

— ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, პრემიერ-მინისტრი საკმაო უფლებებით არის აღჭურვილი, მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოებას, პარლამენტსა და ოპოზიციას ვაძლევთ კონტროლის კონსტიტუციურ ბერკეტებს — მთვარობა აკონტროლოს, პრემიერ-მინისტრმა რომც „გაუბეროს“ და კანონის ფარგლებიდან გავიდეს, პარლამენტს და ოპოზიციას უფლება აქვთ, პასუხი მოსთხოვონ.

თუ დააკვირდებით, ჩვენ შენიშვნები გვქონდა იმპიჩმენტთან დაკავშირებით. იმპიჩმენტი — ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. თუ დღეს 30 დღეში შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის გამოცხადება, ის 15 დღემდე შეამცირეს. და თუ ამ 15 დღეში ვერ გამოუცხადე, საერთოდ იხსნება ეს საკითხი, ანუ პიროვნება რომც იყოს ცნობილი დამნაშავედ, მას ვერასოდეს ვერ მოსთხოვს პასუხს. არსებული მოდელით კი პარლამენტს ერთი და იმავე პიროვნების იმპიჩმენტის საკითხის დაყენება ოთხჯერ შეეძლო.

**— ასევე არის სხვა სერიოზული განსხვავებებიც თქვენს კონსტიტუციაში. ის საკმაოდ მოცულობითია და თითქმის ყველა მნიშვნელოვან სფეროს მოიცავს. იქნება ამაზე ძალიან მოკლედ ისაუბროთ?**

— ეს ეხება, უპირველესად, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუციამ უნდა უპასუხოს ისეთ პრობლემას, რომელიც უკავშირდება შრომის უფლებებს. მაგალითად, ექიმებს, პოლიციელებს 24 საათს ამუშავებენ ცვლაში, რაც არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ ხდება. ზეგანაკვეთი ანაზღაურებადი არ არის, მნიშვნელოვანია, დეკრეტული შვებულებების თემა, რადგან დემოგრაფია 20-30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისთვის. თუ დააკვირდებით, საქართველოს პრეზიდენტმა 2010 წელს გააუქმა საყოველთაო აღწერის ვალდებულება.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## კიდევ ერთი პატივისცემა და გვერდით დგომა ესტონეთის მხრიდან

**2010 წლის 8 აგვისტოს ესტონეთის პარლამენტის ესტონეთ-საქართველოს საპარლამენტო ჯგუფმა მიიღო განცხადება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის ორი წლისთავთან დაკავშირებით.**

**ესტონეთ-საქართველოს საპარლამენტო ჯგუფი გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ისევ ოკუპირებულია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს არ გააჩნიათ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება, საქართველოს მოქალაქეები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, სამშვიდობო და ჰუმანიტარული მისიების წარმომადგენლები მოკლებული არიან ოკუპირებულ რეგიონებში შეღწევის შესაძლებლობას.**

**ესტონეთი კიდევ ერთხელ გამოხატავს პატივისცემას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და მოუწოდებს რუსეთს, გამოიწვიოს თავისი გადაწყვეტილება ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს - იდგნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნის პრინციპზე და მოითხოვონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა.**

ХО-ЕОЖ-ЕНО

◉ პოზიცია

(მეორე გვერდიდან)

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფრაზა ქართული მოსახლეობისთვის აღტაცების საფუძველი არ უნდა იყოს. ეს მკვდარი დიპლომატიური ფრაზეოლოგიაა, რომლის გაცოცხლების უნარი აქვს თუ არა ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას, უფრო მეტი სიცხადით მას შემდეგ გამოჩნდება, როცა ვაშინგტონი საქართველოს პრობლემებთან დაკავშირებით დასავლეთსაც და თბილისსაც მოქმედების ისეთ პროექტს შესთავაზებს, რომელიც კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებულ სუბიექტებს გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას მისცემს.

**— თბილისში ჰილარი კლინტონის ვიზიტის შეფასებისას თქვენ ბრძანეთ, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით აშშ-ს პოზიცია სრულიად ნათელი და თანმიმდევრულია. თქვენს მიერ ვითარების კრიტიკული შეფასება ხომ არ უკავშირდება იმას, რომ იგივე ვაშინგტონს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით კონკრეტული ნაბიჯები ჯერ არ გადაუდგამს?**

— დასავლეთის ვერც ერთ ქვეყანას საქართველოს პრობლემებისადმი დაუინტერესებლობასა და უმოქმედობაში ვერ დავადანაშაულებ. ნუ ჩავთვლით, რომ ობამა და მედვედევი ერთმანეთთან საუბრისას მაინცადამაინც თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის სამკუთხედზე უნდა ჩაღრმავდნენ. ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან გადადგმული ძალიან ბევრი ნაბიჯი იმაზე მიუთითებს, რომ ვაშინგტონი, ზოგადად, უნდობლობით ეკიდება რუსეთს, როგორც პარტნიორს. თავის დროზე აშშ-მ პოზიტიური გზავნილი მისცა მოსკოვს, როცა უარი თქვა აღმოსავლეთ ევროპაში სარაკეტო დამცავი სისტემების განლაგებაზე. ვაშინგტონმა მოსკოვისაგან რა მიიღო? არც არაფერი. ამიტომაც არის, უკანასკნელ დღეებში აშშ-მ სამთავრობო დონეზე დაიწყო საუბარი იმაზე, რომ სარაკეტო დამცავი სისტემები ბულგარეთში ან რუმინეთში განლაგდება. ეს კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს შეიტანს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში. ამდენად, თავისი პრობლემებით მსოფლიო საჭადრაკო დაფა ძალიან ჭრელია და არ შეიძლება მხოლოდ ერთი ფიგურის ირგვლივ იყოს ბრძოლა, რადგან საბრძოლო და გასაცვლელი, პოლიტიკურ ენაზე თუ ვიტყვით, „სავაჭრო“, ამ პოლიტიკურ დაფაზე საკმაოდ ბევრი სურვილი, არგუმენტი და მიზანი გახლავთ. რასაკვირველია, ამ კალეიდოსკოპში საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული წერტილია და მის ირგვლივ ღია თუ არა, ფარული ვაჭრობა მიმდინარეობს.

**— რუსი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ომის შემდეგ განვლილი ორი წელი სააკაშვილმა უფრო ეფექტურად გამოიყენა, ვიდრე — რუსეთმა. მოსკოვიდან სხვაგვარად ჩანს?**

— ჩემთვის გასაგებია, რომ პუტინის ფიგურით, მისი პოლიტიკით გაწბილებული ადამიანები ეძებენ შვების ყველა საშუალებას. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ რუსეთის მიმართ სააკაშვილის რიტორიკა, რომელიც ხშირად ქვეყანას ცუდად უბრუნდება. ამასთანავე, საუბარი საქართველოს წარმატებაზე შეიძლება მხოლოდ იმ კუთხით, თუ პუტინ-სააკაშვილის პირად ურთიერთობათა ანალიზს შევუდგებით. დიახ, სააკაშვილი ზოგჯერ იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს და ზოგჯერ, ჯერ იტყვის და მერე დაფიქრდება. მაგრამ, ასეა თუ ისე, პუტინს ეს ყოველთვის გულზე ხვდება და მწარედ განიცდის. ასე იმიტომაც ხდება, რომ შესაძლოა, მას ავადმყოფური თავმოყვარეობა აქვს. უბრალოდ, პუტინი სააკაშვილისგან ლანძღვას ვერ შეეჩვია და ამ შემთხვევაში ის დამარცხებულია. ეტყობა, პუტინს სააკაშვილის ლანძღვა-გინების ყურიდან ყურში გატარების ტექნიკა ნამდვილად არ გააჩნია.

**— განვლილი ორი წლის შეფასებისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთმა 2008 წელს და შემდგომ ვერ შეძლო საქართველოს ხელისუფლებისა და საგარეო კურსის შეცვლა, ქვეყნის იზოლაციაში მოქცევა. პრინციპში, ძნელია შეედავო, მაგრამ იმ რეალობაში, რომელშიც ვიმყოფებით, პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით რა პერსპექტივებზე შეიძლება საუბარი?**

— ვიმეორებ, რუსეთის მიზანი არ ყოფილა საქართველოს ხელისუფლების შეცვლა. რუსეთს რომ ასეთი მიზანი ჰქონოდა, მიაღწევდა. რეალობა კი საწინააღმდეგოში გვარწმუნებს. რუსეთისთვის, საქართველოში საკუთარი იმპერიული პოლიტიკის განსახორციელებლად, სწორედ დღევანდელი ხელისუფლება არის ყველაზე მისაღები და საიმედო. ეს ეხება არა მხოლოდ ტერიტორიებს, რომელიც ჩვენ მათ ვუბოძეთ, არამედ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მთელ სპექტრს, რომელსაც ბოლო ხანებში სთავაზობს მსოფლიოს ქართული მხარე — დაწყებული ქვეყანაში შექმნილი სრულიად არადემოკრატიული გარემოთი, დამთავრებული იმ ეკონომიკური საჩუქრებით, რომელიც უთუოდ რუსული კაპიტალისა და კრემლის საამებლად აქვს მომზადებული ქართულ ხელისუფლებას. მხედველობაში მაქვს გაზსადენი, რკინიგზა, ავიამშენის ქარხანა, თუ კიდევ სხვა.

ამდენად, რუსული სურვილების ამაზე კარგად განმხორციელებელი ხელისუფლება, რუსეთმა არა თუ დღეს, შესაძლოა, საქართველოში სამომავლოდაც ვერ მოიძიოს. ამასთან ერთად, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი გულის დაწყვეტა ამ ორი წლის განმავლობაში შეიძლება იყოს რეალურად ქართული მხარის უმოქმედობა და კონფლიქტის დარეგულირებისთვის რაიმე პრაქტიკული ნაბიჯების გადაუდგმელობა. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს ეპრანჭებიან სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებების მისამართით ყიამყრალი ფრაზეოლოგიის გამოყენებაში.

ომის დასრულების ორი წლისთავზე ქართული მხარე ძალიან პრიმიტიულად გამოიყურება. ვზაქიბუქობთ საკუთარ სახლში და არავინ არ ცდილობს სწორედ იმ დაკარგულ სამეზობლოსთან დაამყაროს კონტაქტები, რომელთანაც ურთიერთობა არის აუცილებელი და არა საკმარისი პირობა იმისთვის, რომ რაიმე პოზიტიური შედეგი იყოს მიღწეული.

ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრა ჩვენზე, საქართველოზე, რუსეთსა და ამერიკაზეა დამოკიდებული, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ საქართველო, რუსეთი და ამერიკა სხვადასხვა და, რაც მთავარია, არასწორი მიმართულებით ცდილობენ პრობლემის მოგვარებას. ამიტომ, რუსული მზაკვრული პოლიტიკა ახლოს არის წარმატებასთან, რადგან მას არც სურს არსებული სიტუაციის შეცვლა. არ ვიცი, ეს დასავლეთის ზოგადი სიზარმაცეა თუ მიამიტობა. თბილისმა რატომღაც მოსკოვის, ვაშინგტონის, ბრიუსელის და ჟენევის გავლით გადაწყვიტა სოხუმთან და ცხინვალთან საუბარი. ეს არის არა შეცდომა, არამედ საკუთარი უსუსურობისა და უმეცრების აღიარება. როცა სოხუმსა და ცხინვალს მხოლოდ ჟენევაში ელაპარაკები, ეს ხომ, პრაქტიკულად, ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებაა. როცა, თუნდაც, მოსახლეობის დონეზე რაიმე ტიპის დიალოგის დაწყების უნარს ვერ ხედავ და პირიქით ეჭვიანობ, ვაი თუ შენი კონტროლის გარეშე დაელაპარაკოს მათ ვინმე, ასეთ ვითარებაში, სჯობია, ქუდი დაიხურო და სახლში წახვიდე.

**— ორი წლის წინანდელი მოვლენების შეფასებისას პრეზიდენტმა საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლის პროცესს ისტორიული და საშვილიშვილო საქმე უწოდა. თქვენ ბრძანებთ, რომ სააკაშვილი რუსეთის საქმეს აკეთებს. გამოდის, რომ ან თქვენი შეფასებაა გადაჭარბებული, ან პრეზიდენტი სტყუის?**

— თავისთავად, პოზიტიურ პროცესად მიმაჩნია არა მარტო რუსეთის, არამედ ნებისმიერი ქვეყნის გავლენის სფეროდან გამოსვლა. რუსეთისა, მით უმეტეს, ვინაიდან კარგად ვიცით, საუკუნეების განმავლობაში რა ტიპის გავლენის მსურველი და უნარის მქონეა ეს ქვეყანა საერთოდ, განსაკუთრებით — საქართველოს მიმართ. მაგრამ ერთია ვინმეს გავლენიდან გამოსვლა, ხოლო მეორეა მისი უცილობლად მტრად გადაქცევა.

რუსეთის ორასწლიანი ოკუპაციის შესახებ სასკოლო კურსის საქართველოში შემოტანა რუსეთის მიმართ მხოლოდ ბოღმის პრიმიტიული გამოვლენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას თანამედროვე პოლიტიკურ ენაზე საუბრის უნარი არა აქვს. და კიდევ, ერთი მხარე, რომელსაც საქართველოში საზოგადოების წინაშე უკანასკნელი ორი წლის საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენა მოეთხოვება, გახლავთ ქართული ოპოზიცია. ძალიან საინტერესოა, ვინ როგორ აღნიშნავს ტრაგედიის ორი წლისთავს. ახლა გაირკვევა, ამ დღესთან მიმართებაში ოპოზიციის წევრებს აქვთ თუ არა რაიმე საერთო შეხების წერტილები, თუ ნებისმიერი თარიღი მარტო ერთმანეთთან ძიძგილაობისა და დავის საფუძველი უნდა იყოს. ორი წელი ცოტა არ არის იმისთვის, რომ რომელიმე ოპოზიციურ პარტიას მაინც არ ჰქონდეს სათქმელი საკუთარ, მცირე, მაგრამ მაინც გადადგმულ, პოზიტიურ ნაბიჯზე კონფლიქტებთან დაკავშირებით. დიდი ინტერესით დაველოდებით.

**კობა ბენდელიანი**

# რატომ გამოიყურება ქართული მხარე ასე პრიმიტიულად ომის დასრულების ორი წლისთავზე?...



◉ კონსტიტუცია

# ერთი კაცის ინიცირებული კონსტიტუცია თუ ათიათასობით მოქალაქის მოწონებული პროექტი...

(მესამე გვერდიდან)

ესეც გათვალისწინებული გვაქვს კონსტიტუციაში, რადგან სტატისტიკოსები ამბობენ, რომ ეს ვალდებულება კონსტიტუციამ უნდა აღიაროს. ჩვენი კონცეფციით შემოდის ომბუდსმენის, როგორც „სახალხო ქომაგის“ ინსტიტუტი. ის ქომაგი უნდა იყოს და არა უბრალოდ დამცველი, ამისთვის ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები არსებობენ. ქომაგის ანგარიშზე პარლამენტი ვალდებულია, მოახდინოს რეაგირება , კარგი, ან ცუდი, რათა ის ფარატინა ფურცელზე არ დარჩეს.

ჩვენი აზრით, კონსტიტუციის გარდამავალი დებულებით უნდა დადგინდეს და განისაზღვროს საზოგადოებრივი მაუწყებლის დანიშნულება. ჩვენ ვეხებით სასამართლო ხელისუფლების, სასამართლოს კონსტიტუციური მოწყობის საკითხს, რომელზეც ძალიან დაწვრილებით ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ხედვა. ჯერჯერობით ეჭვის თვალით ვუყურებთ საქართველოში „ნაფიც მსაჯულთა“ ინსტიტუტის შემოღებასაც. მოკლედ, სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის დაბალანსების გარდა კონსტიტუციაში კიდევ ბევრი ვალდებულებები უნდა ჩაიწეროს, რაც დაარეგულირებს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს სხვადასხვა სფეროს.

**— ბატონო ზაქარია, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს კომისიის შემოთავაზებული მოდელიც არ არის მაინც და მაინც ურიგო, უბრალოდ ის არ შეესაბამება ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტსა და ქვეყნის დემოკრატიის ხარისხს. თქვენც ასე გგონიათ?**

— არა, კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. ამ აზრის დედა ისაა — რომ ხალხი არ ვარგა, თორემ ქაღალდზე დაწერილი ნორმები კარგია. რატომ არის ხალხი ცუდი? — ჰკითხეს ხალხს საერთოდ, რა უნდა საზოგადოებას? აუხსნეს ვინმეს, რატომ არ ვარგოდა საპრეზიდენტო მმართველობა და რატომ დაიწერა ახალი კონსტიტუცია?!

**— თქვენი აზრით, რატომ დაიწერა ახალი?**

— იმის გამო, რომ ერთი ადამიანის შრომითი მოწყობის საკითხი გადაწყვეტილიყო, როგორც ეს ერთმა ჩვენმა მეგობარმა თქვა და რამენაირად ხანგრძლივად დარჩენილიყო ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი.

**— უშველის თუ არა ამას ის, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს მუხლი, რომლითაც ყოფილ პრეზიდენტს ხუთი წლის განმავლობაში არ ექნება პრემიერ-მინისტრად მოსვლის უფლება. რამდენად მოაგვარებდა ეს მუხლი ამ საკითხს?**

— რა თქმა უნდა, მოაგვარებდა. ეს უზრუნველყოფდა ამ საკითხს. თუ ვთანხმდებით, რომ პრეზიდენტი არბიტრია და არა პოლიტიკური თანამდებობის პირი, ის შეეცდება საზოგადოებას თავი მოაწონოს, შექმნას თავის მხარდამჭერთა პარტია (კრიზისი თუ არაა ქვეყანაში, საქმე მაინც არა აქვსძ და მოვიდეს ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ამიტომ კარგი იქნებოდა ასეთი მუხლი მართლაც ჩაწერილიყო და ყველა პრეზიდენტს შეხებოდა.

**— ემუქრება თუ არა საზოგადოებრივი კომისიის შემუშავებულ კონსტიტუციას კონცეფციად დარჩენის საფრთხე? „სახალხო განხილვის“ ფარგლებში მხოლოდ სააკაშვილ-დემეტრაშვილის კონსტიტუციის ვარიანტს განიხილავენ.**

— არა, არ ემუქრება კონცეფციად დარჩენის საშიშროება, რადგან საზოგადოებრივი ძალები, პოლიტიკური პარტიები აშკარად დაინტერესდნენ ჩვენი პროექტით, თანაც იგრძნობა დიდი უნდობლობა სახელმწიფო კომისიის პროექტის მიმართ. ჩვენ ვგეგმავთ, „საზოგადოებრივი დარბაზის“ შექმნას და შევთანხმდებით კონსტიტუციის მოდელზე, ამის შემდეგ შევაგროვებთ 200 ათასზე მეტ ხელმოწერას. პარლამენტს კი მოუწევს რთული გადაწყვეტილების მიღება: ერთი კაცის ინიცირებული კონსტიტუცია აქციოს ქვეყნის ძირითად კანონად, თუ საქართველოს ათასობით მოქალაქის მიერ მოწონებული პროექტი გადააგდოს ურნაში. ყველა ვარიანტში მოუწევთ მათ კენჭისყრის ჩატარება. თანაც ნუ გავიწყდებათ, რომ ახალი კონსტიტუცია ძალაში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ შედის, ანუ 2013 წელს, რომელსაც წინ უსწრებს გენერალური რეპეტიცია, ანუ პარლამენტის არჩევნები. ამიტომ თუნდაც ახლა დაუჭიროს მხარი პარლამენტმა კონსტიტუციას, ქვეყნის უმთავრესი კანონის ფორმირებისათვის ბრძოლის პროცესს აზრი მაინც არ ეკარგება.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

◉ ნგრევა შენების ფონზე

# ერთმანეთში ირევიან ძროხა, ღორი, ადამიანები...

***არა მგონია, რომელიმე ქართველს არ უხაროდეს, რომ ასეთი სწრაფი ტემპით შენდება და მშვენდება ბათუმი, მაგრამ სწორედ ამის ფონზე მით უფრო ცუდია, რომ უყურადღებობით სულ უფრო ინგრევა გრიგოლეთი. იქაურობა ჩაბნელებულია, ერთი ნაგვის ბუნკერიც არ დგას, დამსვენებლები ზღვის ამ სანაპიროს შედარებით დაბალი ფასისთვის ეტანებიან, დანაგვიანებულია სანაპირო, მანქანებით ლამის ზღვაში შევიდნენ.***

და ეს ყველაფერი ელემენტარული პირობების, ნაგვის ბუნკერების, დასახლებული პუნქტის განათების არქონის გამოა. არადა, გაჩახჩახებული სუფსის ტერმინალი.

ნუთუ ასე ძნელია, რომ ათიოდე ლამპიონი და ერთი ნაგვის ბუნკერი მაინც გამოიყოს აქაუროებისთვის და ცივილურობა გურიის ამ კუთხესაც დაეტყოს?

იმედს ვიტოვებთ, ამ წერილს ის ადამიანები წაიკითხავენ, ვისაც ევალება ქვეყნის გულშემატკივრობა, გაფრთხილება და სათანადო ზომებსაც მიიღებს.

**დამსვენებელთა სახელით**
**გივი რუხაძე,**
**გია გოგუაძე,**
**კოტე თოიძე,**
**ზაზა თოდრია.**

# ერთპარტიული მმართველობის ხრიკები



◎ პოზიცია

## მთავარია, რაც ქვეყნის მომავალს სჭირდება, და არა სააკაშვილის გუნდს

(მეორე გვერდიდან)

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შემოთავაზებული კონსტიტუციური რეფორმა სრულად ინარჩუნებს ყველა იმ მოქმედ ნორმას, რომლებიც სახელმწიფოში ერთპარტიული მმართველობის ე.წ. სამართლებრივ კომფორტს განამტკიცებს. ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, უპირისპირდება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესს. მარტივი ჭეშმარიტებაა: ქვეყანაზე მზრუნველმა მმართველმა პარტიამ დაგეგმილი ცვლილებების მეთოდოლოგია და პროცედურა სწორედ სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებისა და კონსტიტუციური პროექტის სრულყოფისკენ უნდა წარმართოს.

მთლიანობაში შემოთავაზებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს ხელისუფლების დანაწილების სისტემურ რეკონსტრუქციას და სახელისუფლებო შტოთა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით მხოლოდ ლოკალურ საკითხებს აგვარებს, ისიც გარკვეული რევერანსების ფორმით. მიზეზი ტრადიციულია — საკონსტიტუციო კომისიას არც უცდია რეფორმის კონცეფციის შემუშავება. რეფორმაციის პროცესი არ ყოფილა მიზნობრივად რომელიმე საპროექტო მოდელზე ორიენტირებული და, რაც პროცედურულად ჩამოყალიბდა, პროექტადაც ის მივიღეთ. კლასიკურ მოდელურ კონცეფციებთან მიმართებაში იგი ჰიბრიდული ვარიანტია. ამიტომაც, ნებისმიერი წამკითხველი მას საკუთარი წარმოდგენის ფარგლებში აღიქვამს და გარკვეული შეფასებებიც შერეული და საპარლამენტო მოდელების ზღვარზე კეთდება. ამ ხარვეზის გამოსწორება კი, თავის მხრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საყოველთაო-სახალხო განხილვა მხოლოდ რედაქციულ ფორმატში კი არა, არამედ პრინციპული შეუთავსებლობების ჭრილში განხორციელდება.

წარმოდგენილი კონსტიტუციური რეფორმის პროექტი არ არის ორიენტირებული ქვეყანაში დემოკრატიულობისა და სამართლიანობის რეანიმაციის ოპტიმალური პირობების შექმნაზე. პირიქით, შემოთავაზებული ცვლილებები არსებითად წარმოადგენს პრინციპულ სამართლებრივ რებუსს — მმართველი პოლიტიკური გუნდის შერყეული თვითდაჯერებულობის ფონზე მარტივად იკითხება ერთპარტიული მმართველობის გახანგრძლივების „კანონით განმტკიცების“ მცდელობა. კანონპროექტის მიღებიდან მის ამოქმედებამდე სამწლიანი „დერეფნის“ მიზანი კი, როგორც ჩანს, ისაა, რომ მორჩილი საზოგადოებრივი აზრი შეეგუოს ხელისუფლების სათავეში მ. სააკაშვილის შეუცვლელობის იდეას.

კონსტიტუციონალიზმის თეორიაში შერეული მმართველობის ფორმების ნაირსახეობათა შორის ასეთი მოდელიც გვხვდება — პრემიერი პრეზიდენტთან ერთად. ამ მხრივ რუსეთის მაგალითზე გარკვეული გამოცდილებაც ჩამოყალიბდა. ერთპარტიული სახელმწიფო მმართველობის რეჟიმის პირობებში პარტიის ლიდერი არსებითი საზედამხედველო პრიორიტეტებითაც აღიჭურვება. ამდენად, შემოთავაზებული რეფორმის უმთავრესი ინტრიგა მართვის ახლებური კონფიგურაციაა — პრემიერ-მინისტრი სახელმწიფოს მეთაურის მანტიით.

***წარმოდგენილი კონსტიტუციური რეფორმის პროექტი არ არის ორიენტირებული ქვეყანაში დემოკრატიულობისა და სამართლიანობის რეანიმაციის ოპტიმალური პირობების შექმნაზე.***

შემოთავაზებული კონსტიტუციური კანონპროექტის უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ სახელისუფლებო შტოების ახალი მოდიფიკაცია ერთპარტიული სახელმწიფო მმართველობის სისტემის განმტკიცებისკენ იყოს მიმართული. მთელი რიგი ნოვაციებისა კი იმაზეა გათვლილი, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში ქართულ კონსტიტუციონალიზმში ამოქმედდეს უნიკალური მოდელი — პრემიერი პრეზიდენტთან ერთად. ბუნებრივია, ასეთ პირობებში პრეზიდენტისა და მთავრობის წევრთა მიერ პარტიული თანამდებობების შეთავსების უფლება (მუხლი 72 და $81^1$-4ძ პარტიული წესდების ფორმით ხელისუფლების შტოთა ურთიერთმიმართებაში ზეკონსტიტუციურ გავლენას იძენს. უცნაურია, რომ ვენეციის კომისიასა და სხვა უცხოელ ექსპერტებს ეს მხედველობიდან გამორჩათ!

აღნიშნულ მოდელზე ორიენტაცია იმით არის განპირობებული, რომ მისი ყველა შესაძლო ვარიაცია ნაციონალების მორიგ გამარჯვებას უზრუნველყოფს. კონსტიტუციური კანონის ამოქმედებიდან პირველსავე არჩევნებში, თუკი პრეზიდენტიცა და პრემიერ-მინისტრიც ნაციონალურ პარტიის წარმომადგენლები იქნებიან, დღევანდელი სტატუსკვო პარტიის ლიდერის, მ. სააკაშვილის, სასარგებლოდ, ფაქტობრივად, შეუზღუდავი რჩება. სხვა ვითარებაში, თუკი საპარლამენტო უმრავლესობაში პრეზიდენტის თანაპარტიელები არ იქნებიან, ამოქმედდება საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელი მისი თავისებური მოდიფიკაციით — პრემიერ-მინისტრი პარლამენტთან ერთად. ორივე ვარიანტის პირობებში პარტიული ინტერესებით დაიბლოკება პრეზიდენტის უფლებამოსილებები და სახელმწიფოში პრემიერ-მინისტრი იმეთაურებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გათვლები დაედო საფუძვლად საბაზისო კონსტიტუციურ პროექტში მთავრობის ფორმირების პროცედურებს (მუხლები 80 და $80^1$ძ.

ინიციატორებს ერთი, მეტ-ნაკლებად შესაძლებელი, ვარიანტი გამორჩათ მხედველობიდან. ხომ შეიძლება პარლამენტში ოპოზიციამ მანდატების მესამედი მოიპოვოს, რაც მას უფლებას მისცემს, მთავრობისადმი უნდობლობის საკითხი დააყენოს? და თუ ასეთი ინიციატივა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებს, სახელმწიფოს მეთაურის რანგში მოვლენილ პრემიერ-მინისტრს პრობლემები შეექმნება. როგორც ჩანს, ასეთმა ალბათობამ საკონსტიტუციო კომისიას საფიქრალი გაუჩინა. ამიტომაც, ვენეციის კომისიისათვის წარდგენილი პროექტის შესაბამისმა მექანიზმმა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებულ ვარიანტში პრინციპული ცვლილებები განიცადა — უნდობლობის ინიცირებისათვის საჭირო ხმების მესამედი შეიცვალა არანაკლებ ორი მეხუთედით. კონსტიტუციური კანონპროექტის პირვანდელ ვარიანტში იყო კონსტრუქციული ვოტუმის პრეზენტაციის მცდელობა. კონსტრუქციული ვოტუმი გერმანული მოვლენაა და მთავრობისადმი ნდობის საკითხი იქ 48 საათის განმავლობაში კანცლერის ახალი კანდიდატურისათვის კენჭისყრით წყდება. ჩვენთან, კანონპროექტის განსახილველად გამოქვეყნებულ ვარიანტში, კონსტრუქციულ ვოტუმს დესტრუქციული ვოტუმი ჩაენაცვლა. საქართველოს პრეზიდენტი კი მთავრობასა და პარლამენტს შორის უნდობლობის მექანიზმის ამოქმედებისას კვლავაც გადამწყვეტი ხმის უფლებას ინარჩუნებს. სხვათა შორის, სუპერპრეზიდენტის კლასიკურ ნიმუშად აღიარებული ეგვიპტის სახელმწიფოს მეთაურიც კი არ აძლევს საკუთარ თავს ამის უფლებას. მას, პარლამენტის ლეგიტიმურობის სტანდარტის გათვალისწინებით, ასეთი საკითხი რეფერენდუმზე გააქვს.

ახალი ქართული კონსტიტუციური კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წარდგენიდან 5 დღის ვადაში წამოაყენოს წარმოდგენილი კანდიდატურა ან უარი თქვას მის წამოყენებაზე (მუხლი 81-3ძ. თუ პრეზიდენტი ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებას მიიღებს, პარლამენტი უფლებამოსილია, კანდიდატურის წარდგენიდან არაუადრეს 30 და არაუგვიანეს 35 დღისა კენჭი უყაროს იმავე კანდიდატურის წარდგენას. თუ წარდგენას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის ადრინდელი უმრავლესობის ნაცვლად სამმა მეხუთედმა, პრეზიდენტი ვალდებულია, 3 დღის ვადაში წამოაყენოს მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურა (მუხლი 81-4ძ. ეს ყველაფერი კი ნიშნავს ახალი შემადგენლობის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას, რაც ჩაითვლება მოქმედი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებად (მუხლი 81-5ძ.

ასე რომ, მოცემული მექანიზმი ბლოკავს რომელიმე სხვა კანდიდატურის გაპრემიერმინისტრობის შესაძლებლობას. ეს უკვე პრემიერ-მინისტრად მოვლენილი მ. სააკაშვილის „მოღვაწეობის“ გახანგრძლივების საგარანტიო მექანიზმია.

მაგრამ, თუ პრეზიდენტის ვეტომ სასურველი შედეგი არ გამოიღო, ისიც დასაშვებია, რომ პრეზიდენტმა არ გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე. ერთი სიტყვით, კონსტიტუცია თავად ამკვიდრებს საპრეზიდენტო თვითნებობის პოლიტიკას. კიდევ კარგი, რომ თავად კონსტიტუცია ახდენს ამგვარი თვითნებობის აღკვეთას, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ითვლება (მუხლი 80-8ძ.

მიუხედავად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თემის აქტუალიზაციისა, საკონსტიტუციო კომისიას არც მისი მყარი კონსტიტუციური რეგლამენტაცია გაუთვალისწინებია. აღნიშნულ სფეროებში კანონმდებლობის თავისუფალმა რეჟიმმა განაპირობა, რომ წლების განმავლობაში სულ უფრო ვემიჯნებით დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალებს. საქართველოში დამკვიდრებული ერთპარტიული სისტემის სტანდარტი წონასწორობის კონცეფციის არაადეკვატურად ახდენს ხელისუფლების შტოთა დაბალანსების რეგულაციას.

***კანონპროექტის მიღებიდან მის ამოქმედებამდე სამწლიანი „დერეფნის“ მიზანი კი, როგორც ჩანს, ისაა, რომ მორჩილი საზოგადოებრივი აზრი შეეგუოს ხელისუფლების სათავეში მ. სააკაშვილის შეუცვლელობის იდეას.***

საქართველოში კონსტიტუციური რეჟიმის მდგრადობის ამოცანა მკაცრ კონსტიტუციურ რეგლამენტაციას უნდა დაექვემდებაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის ახალი კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე, — 3 წლის განმავლობაში, — კანონმდებელთა მოქმედმა გუნდმა კონსტიტუციას ის დღე აყაროს, რაც 2004 წელს განხორციელებულ რეფორმას ხვდა წილად. მით უფრო, რომ აღნიშნული კონსტიტუციური კანონპროექტი ბევრი სხვა მოსაზრებითაც, რბილად რომ ვთქვათ, არ გამოირჩევა სრულყოფილებით.

მომავალ საკონსტიტუციო რეფორმას უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდებოდით და გვეფიქრა იმაზე, რაც სჭირდება ქვეყნის მომავალს და არა მ. სააკაშვილის გუნდს. პირველი რიგში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია გაგვეთავისუფლებინა პოლიტიკური დაკვეთისგან და არ მოგვეხდინა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული კონცეფციის იგნორირება. მაშინ საყოველთაო-სახალხო განხილვაც რეალურ სახეს მიიღებდა.

ახლა მაინც ნურავინ გვეტყვის: „დრო არ ითმენს, სასწრაფოდ უნდა მივიღოთო!“. აუცილებელია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის საჭირო ვადების გახანგრძლივება და კონსტრუქციული წინადადებების გათვალისწინება, რათა, ჯერ ერთი, განხილვა წარიმართოს მშვიდ ვითარებასა და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით და, ამასთანავე, ქვეყნის მთავარ კანონთან მიმართებაში აღიკვეთოს ყოველგვარი არადემოკრატიული და არასამართლებრივი გამოვლინებები.

„ქართული აკადემია“
5.VIII.2010.

◎ შეფასება

## რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს იგონებს, რომ ხანძარი აშშ-ს გადააბრალოს

***რუსეთში** გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა ამ ქვეყნის შესაბამისმა სამსახურებმა ამ დრომდე ვერ შეძლეს. უფრო მეტიც, ვერ შეძლეს, ხანძრისგან დაეცვათ ორი უმსხვილესი სამხედრო ობიექტი. დიდია დაღუპულთა რიცხვიც.*



*რატომ ვერ შეძლო ძლიერი ქვეყნის იმიჯის მქონე ქვეყანამ ორი უდიდესი სამხედრო ობიექტის და ერთ-ერთი ბირთვული ცენტრის ცეცხლისგან დაცვა? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ესაუბრა ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში **ნიკა ჩიტაძეს**.*

— ის ფაქტი, რომ დაღუპულთა რიცხვმა 50-ს გადააჭარბა და ვერ დაიცვეს ორი სამხედრო ბაზა, იმის მიუხედავად, რომ სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება რუსეთისთვის მთავარი პრიორიტეტია, მიანიშნებს შესაბამისი ორგანოების სისუსტესა და მოძველებულ ტექნოლოგიებზე, რომელიც რუსეთს აქვს. სხვათა შორის, ევროპის რამდენიმე განვითარებულმა ქვეყანამ, მათ შორის, გერმანიამ და იტალიამ დახმარებაც კი შესთავაზეს. ჩემი აზრით, სწორედ სახელმწიფო სტრუქტურების სისუსტე, უუნარობა და მოძველებული ტექნოლოგიები არის მიზეზი იმისა, რომ ხანძარი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა და ამდენი მსხვერპლი მოჰყვა. ხანძარი ხშირად ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ არ იწვის სამხედრო ბაზები და არც ამდენი მსხვერპლია.

კრილოვის ცნობილი გამოთქმაა: **„რუსი არასდროს დაადანაშაულებს რუსს“**. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს იგონებს, რომ მომხდარი აშშ-ს გადააბრალოს. ამისთვის მოჰყავს აბსურდული არგუმენტები, თითქოს აშშ კლიმატურ იარაღს იყენებს და ა.შ ამან გამოიწვია რუსეთში სტიქია და აშ. კრემლი ყოველთვის ქმნის მტრის ხატს, ახლაც, ამ ეკოლოგიური კატასტროფის დროსაც კი, რუსეთი პოლიტიკურ სპეკულაციებს არ იშლის.

**— ამ ორი უმსხვილესი სამხედრო ობიექტის დაწვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურა სუსტია და არ არის ისეთი, როგორც თვითონ სურს ამის წარმოჩენა?**

— რა თქმა უნდა, აქ შეიძლება ითქვას, რომ რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურა არც ისეთი ძლიერია, როგორი წარმოდგენაც მასზე აქვთ. ეს არ ეხება მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევას. იგივე ჩეჩნეთის ორივე ომის დროს, მხოლოდ რაოდენობითა და ავიაციის წყალობით შეძლეს გარკვეული კონტროლის დამყარება და ამავე დროს სერიოზული ზარალი განიცადეს. რაც შეეხება საქართველოსთან ომს, კარგად გახსოვთ, ამ ომის შემდეგ რამხელა რეფორმები წამოიწყეს, რადგან მათი ბევრი სისუსტე გამოვლინდა. რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის ასეთ მდგომარეობას რამდენიმე მიზეზი აქვს. ეს არის: კორუფციის მაღალი დონე, სამხედროების დაბალი კვალიფიკაცია, რადგან გენერალიტეტის და ოფიცერთა ძირითადმა შემადგენლობამ განათლება საბჭოთა კავშირის დროს მიიღო; ასევე მოძველებული ტექნოლოგიები. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურა ბევრად უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ რუსეთი თავდაცვაზე გამოყოფს დაახლოებით 40 მილიარდ დოლარს, ხოლო აშშ თითქმის 700 მილიარდ დოლარს. განსხვავება აშკარად დიდია და შესაბამისად, — შედეგიც.

◎ არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...

***სასტიკი უარი მტკიცა ამ ხნის მეგობარს — არავითარი საუბარი არ გვინდა, საერთოდ, არ არის საჭირო საიუბილეო წერილის დაბეჭდვაო... მერე შემატყო, რომ ვიწყინე: კაი, კაი, ბიჭებს „რუსთავის“ ბოლოდროინდელი გასტროლების შესახებ მასალებს გამოვატან და, დანარჩენი შენ ყველაფერი იცი ჩემზეო...***

***რა ვქნა ძმაო, ანზორ, მთელმა საქართველომ იცის შენი საქმიანობის სიდიდე, იცის ყველა სიკეთისა და აღმატებული სიყვარულის ღირსი რომ ხარ და შენი დაბადების 70 წლისთავი, დიდოსტატის მართლაც წიფობისთვე, ისე რომ „გაგვეშვა“, ბოლოსდაბოლოს, მკითხველი რას გვეტყოდა?..***

***ჰოდა, ახლა მე მაცალე...***

# დიდოსტატის წიფობისთვე



საუკუნეებიდან მოდის ერქომაიშვილთა სასიმღერო გენი, თაობიდან თაობას გადაეცემა „ხმა ბულბულისა“. იყო გიორგი, იყო ივანე, იყვნენ გიგო, არტემი, დავითი... და ჰა, მუსიკალური ტრადიციების მატარებელი მეექვსე თაობა – ჩვენი ანზორ ერქომაიშვილი...

იგი ბედნიერი კაცია, თუ ბედნიერება ჰქვია სასურველი საქმის ფანატიკურ მსახურებას, მაშინ იგი მართლაც ბედნიერი კაცია.

## ბაბუის – ლეგენდარული არტემ ერქომაიშვილის რჩევა

– ჩვენ პროფესიული მუსიკალური განათლება ვერ მივიღეთ, ვინაიდან მაშინ სხვა დრო იყო და ამის საშუალება არ გაგვაჩნდა. ახლა, ბაბუ, მომღერლების ძველი თაობა წავიდა, ჩვენც თანდათან მივდივართ. ამ სიმღერებს შენახვა უნდა, პატრონი უნდა, ახალგაზრდობას ეს ნაკლებად აინტერესებს, ჩვენი სასიქადულო მომღერლები და გურული საგალობლების იშვიათი და უკანასკნელი მცოდნენი ვარლამ სიმონიშვილი და დიმიტრი პატარავაც წავიდნენ ჩვენგან და ამჟამად მხოლოდ მე დამრჩა ეს განძი, რომელიც არც ფულით იყიდება და არც ოქროთი აიწონება. ამ განძის ფასს შენ ჯერ ვერ გაიგებ. ეს არის განძი, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება. მე რომ რაიმე შემემთხვას, ისეთი საუნჯე წამყვება თან, რომლის დაკარგვას ერი არ გვაპატიებს, რომელსაც ვერავინ ვეღარ აღადგენს და ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვაწვება კისრად. იცოდე, ეგ მარტო შენი და ჩემი საქმე არ არის. ეგ საერთო საქმეა. შენ სისხლში გაქვს გურული ხალხური სიმღერა გამჯდარი და ამიტომ ყველაზე მეტად შენ შეგიძლია ამ საქმის გაკეთება, თუ მუსიკალურ განათლებას მიიღებ...

* * *

მართლაც, ანზორი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედის და უკვე სტუდენტს ზაფხულობით სოფელში, ბაბუის წყალობით ნოტებზე გადააქვს ათობით გურული საგალობელი და დაკარგული სიმღერა. ჩვენი ეროვნული განძის სიყვარულით, წინაპრის რჩევა-დარიგებით, პედაგოგის – პროფესორ შალვა ასლანიშვილის წაქეზებით ანზორ ერქომაიშვილმა ეროვნული მისია იკისრა – ძველი ფირფიტების აღდგენა გადაწყვიტა. ეს იყო ურთულესი საქმე, თანაც, ანსამბლი „გორდელა“, მოგვიანებით, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელობა, მოგზაურობა, გასტროლები...

საჭირო გახდა ამ უნიკალური ფირფიტების მოძიება ოჯახებში, არქივებში, მუზეუმებში, მომღერალთა ბიოგრაფიების დაზუსტება მათი შთამომავლების დახმარებით, ფირფიტაზე ჩაწერილი სიმღერების გაშიფვრა და სანოტო ფურცლებზე გადატანა, შემსრულებელთა გვარების აღნიშვნა ხმების მიხედვით, ფირფიტების აღდგენა თანამედროვე ტექნიკით და მათი ხელახალი გამოცემა თანდართული ნოტებით...

„რუსთავის“ გასტროლების დროს თუ სპეციალური მივლინებებით ანზორი აკითხავდა მოსკოველ, ლენინგრადელ, კიეველ, ლვოველ, რიგელ, ოდესელ კოლექციონერებს, ამ ქალაქებში ძველად უცხოური ფირმები იწერდნენ ხოლმე ფირფიტებს... აქაური არქივებიდან ომის დროს რევოლუციამდელი ჩანაწერები მოსკოვის აპრელევის ქარხანაში გადაეგზავნათ... ამ ქარხანაში აღმოჩნდა უამრავი მატრიცა, რომლებიც 1907-1915 წლებით თარიღდება...

ანზორ ერქომაიშვილის დიდი შრომისა და გულმოდგინების წყალობით, 1986 წელს ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო ფასდაუდებელი საჩუქარი – 1907-1914 წლების ჩანაწერების ანთოლოგია, რომელიც დღეს ბევრ ქართულ ოჯახში, ალბათ „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით ძევს. რაღა თქმა უნდა, იქვეა „რუსთავის“ მიერ შესრულებული 60 ხალხური სიმღერაც, რომელიც 1981 წელს გამოვიდა, ხოლო თაროს თანდათან ემატება 30-იანი წლების უნიკალური ჩანაწერების ფირფიტები – ვანო მჭედლიშვილის, ვლადიმერ ბერძენიშვილის, ნოკო ხურციას და სხვათა განუმეორებელი ხმებით. მისგან ნაჩუქარ ამ განძს მე ექსპრომტად მივაწერე: **„ეს ფირფიტა შენი ნაჩუქარია, ეს კასეტაც შენი ნაჩუქარია, აქ „რუსთავი“ აგრიალებს „ჩაკრულოს“, აქ წინაპრის სულის ნაშუქარია“...**

– დიდი კაცია ანზორი, – მეუბნება ჩვენი ძვირფასი **მერაბ ბერძენიშვილი**, – მე იგი მაგონებს იმ თავდადებულ ქართველებს, მისხალ-მისხალ რომ აგროვებდნენ ყოველ წვრილმანს, რაც ერს სასიკეთოდ შეემატებოდა. მახსენდება: ერთხელ აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა მიამბო, თუ როგორ აგროვებდნენ ისა და მისი მეგობრები მოტაცებულ და დაკარგულ უძველეს ხატებს მთელ საქართველოში, დღეს ჩვენი მუზეუმის საცავებში უძვირფასესი ხატები რომ გვეამაყება, ბევრი სწორედ მათი შეგროვილია... ასე მოიძია ანზორ ერქომაიშვილმა ჩვენი დაკარგული სიმღერები, გაგვახსენა, რა საგანძური გვქონია, და იმის საშუალებაც მოგვცა, ვისაც სურვილი აქვს, მომავალ თაობებს ასწავლოს ეს სიმღერები“...

მომავალი თაობაო?!.

კარგად ვიცით, როგორ უვლიდა და როგორ უვლის ანსამბლ „მართვეს“ ანზორ ერქომაიშვილი, როგორ ცდილობს დღევანდელი როკ-მუსიკის გრიალში უფრო მეტად და მეტად, მარგალიტივით გამოირჩეს წკრიალა ხმებით შესრულებული „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, „ჩაკრულო“, „წინწყარო“ და „მრავალჟამიერი“... რამეთუ მიაჩნია: მხოლოდ ეს გადაარჩენს ჩვენს საგანძურს, ბავშვთა ანსამბლების სიმრავლე გადაარჩენს...

ცალკე საუბრის თემაა სახელგანთქმული ანსამბლი „რუსთავი“, რომელიც უკვე ორმოცი წლისაა და თუ განსაკუთრებულია მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, ამაში, რაღა თქმა უნდა, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ანზორ ერქომაიშვილის „ლომის წილია“.

როგორც დამპირდა, მართლაც გამომიგზავნა „რუსთავის“ გერმანიაში შარშანდელი გასტროლების აღმნუსხველი მასალები, უცხოური გაზეთების ქართული ფრაგმენტები, რაც ანსამბლის შესანიშნავმა მომღერლებმა დათო გველესიანმა და გოგიტა ბუგიანაშვილმა შემოგვირბენინეს რედაქციაში. რომ ვთხოვე მათ, ორი სიტყვით მითხარით, ბიჭებო, რაიმე ანზორზე-მეთქი, იგი გრაალის მცველი, ანუ ქართული ხალხური მუსიკის მცველიაო, ანთებული თვალებით მითხრეს, – მთელი ანსამბლი უდიდეს პატივს სცემს და, თუნდაც ამიტომ ვართ ორმოცი წელიწადია მტკიცე და ერთიანიო...



## ორი ამონარიდი გერმანული პრესიდან:

**„შეუდარებელმა ქართულმა პოლიფონიამ არა ერთხელ დაიმსახურა ტაში. არაჩვეულებრივი ვოკალის მქონე მომღერლები ახდენენ ძლიერი, მაგრამ ამავე დროს გამჭვირვალე ჟღერადობისა და მუზიცირების ყოვლისმომცველი ხალისის დემონსტრირებას.**

**ტექსტისა და ფლეიტის (სალამურის) აკრობატიკა შემოგვთავაზეს მომღერლებმა მეორე განყოფილებაში და თავიანთი ლამის ამოუწურავი საშემსრულებლო ხელოვნებით დაამტკიცეს, რომ ისინი არა მარტო ძალზე ნიჭიერი მომღერლები, არამედ ასევე შესანიშნავი ინსტრუმენტალისტებიც არიან.**

**უმაღლესი ვირტუოზულობით უწევდა ანსამბლ „რუსთავის“ კვარტეტი (ორი მედოლე, ორი აკორდეონისტი) თანხლებას ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს.**

**სუნთქვის შემკვრელი იყო როგორც დეტალებში, ასევე მთლიანად აღებული, მთელი ქორეოგრაფია (ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე) ოცზე მეტი მოცეკვავე ქალისა და მამაკაცის შესრულებით, რომლებიც ზუსტად, ერთმანეთთან შეთანხმებულად მოძრაობდნენ“.**

**„ანსამბლი „რუსთავი“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გუნდთაგანია, რომელიც დღემდე იცავს მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციას. სხვა სიმღერებთან ერთად უმაღლეს დონეზე შესრულდა საზეიმო სიმღერა „მრავალჟამიერი“.**

დამეთანხმებით, მთელი საქართველოს სათავანო კაცია ანზორი, თუმცა, რა გასაკვირია, გურულებს გამორჩეულად რომ უყვარდეთ თავისი კუთხის სახელოვანი შვილი.

მაშ, მოვუსმინოთ ცნობილ ისტორიკოსს, ქართული ფოლკლორის და განსაკუთრებით გურული სიმღერების ტრფიალს ბატონ **დურმიშხან ცინცაძეს**:

– „ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი ქართული ხალხური სიმღერის წინაშე ისეთივე დიდია და მნიშვნელოვანი, როგორც უკვდავი ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული ისტორიული საგანძურის მოვლა-პატრონობისა და გადარჩენის საქმეში. იგი შეუდარებელი, ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილია. ხალხური მუსიკის მოვლა-პატრონობა მას შთამომავლობით ერგო, რაც მის წინაპრებს, ბაბუას, დედას და მამას გათავისებული ჰქონდათ...

სამაგალითოა ანზორ ერქომაიშვილის ურთიერთობა ქართულ ეკლესიასთან და ერის სულიერ მამასთან, უწმინდესთან და უნეტარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან.

ანზორ ერქომაიშვილი ლამაზი ოჯახის პატრონია. ორთაჭალაში, აბანოთუბნის ახლოს მის საცხოვრებელ ბინაში, ფაქტობრივად ქართული ხალხური მუსიკის მუზეუმია. აქ თითქმის ყველა ქართული ხალხური საკრავი ინსტრუმენტია მოთავსებული, ზოგი მათგანი მემორიალურია და ისტორიული მნიშვნელობისაა. აქ მე რამდენჯერმე შევხვედრივარ იაპონელ, იუგოსლაველ, ფრანგ და შვედ სტუმრებს. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

მე ოჯახში სათუთად ვინახავ სიმღერების იშვიათ ჩანაწერს, რომელთაც ასრულებენ ანზორის დედა ქალბატონი ეთერი, მისი და ალდონა ერქომაიშვილი და თვითონ ანზორი. ამ ფირის დისკზე გადატანა და გავრცელება მართლაც რომ საშური საქმეა.

* * *

ჩვენი ანზორი ის კაცია, დაბადების 70 წლისთავზე აუცილებლად რომ მოინახულებს წინაპართა საფლავებს და თითქოს ანგარიშს ჩააბარებს თავის ლეგენდარულ ბაბუას არტემ ერქომაიშვილს, რომლის რჩევა-დარიგება გულის ფიცარზე დაიწერა შთამომავალმა – სამაგალითოდ უპატრონა ქართულ ფოლკლორს, ანუ თავისი მისია შეასრულა ერქომაიშვილთა მეექვსე თაობის ღირსეულმა წარმომადგენელმა.

...გაიხარე, ჩვენო ანზორ, შენი საქმის ჭეშმარიტად დიდოსტატო, ბარაქიანი წიფობისთვე გიდგას, ძმაო! მაშ, ჯანმრთელობა და კვლავაც მშობელი ქვეყნის ბარაქიანი სამსახური არ მოგაკლოს ღმერთმა!

**ვილენ მარდალეიშვილი**



**სურათზე: ანზორ ერქომაიშვილი და ანსამბლ „რუსთავის“ ცეკვა-სიმღერა.**

ცრუმოძღვარნი

*ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულად მძიმე დროში, უამრავი გამრუდებული ცნობიერების ადამიანების გარემოცვაში. ყოველ ხილულ მოვლენას ახლავს უხილავი, დაფარული თუ ცხადი პროცესები, რომლებიც ხშირად მიმართულია ქრისტიანული სულიერების საწინააღმდეგოდ. თუ დავაკვირდებით, კაცობრიობის დრამა ძირითადად გასულია, თითქოს კაცობრიობა მეორედ მოსვლის მოლოდინშია. ამასთან, როგორც ბევრი წმიდა მამა ამბობს, ნიშნები ანტიქრისტეს მოსვლისა, უამრავია, თუმცა, დრო და ჟამი არავინ იცის. ამას მიანიშნებს ბოლო მოვლენები, ყველა სულიერ-მორალური ნიშნები, ეზოთერული სწავლებების სიმრავლე და პოპულარობა, რომლის ფონზეც სიყვარულმა ძალიან მოიკლო ადამიანებში. პავლე მოციქულის მიერ II ეპისტოლეში დასახელებული ბოლო ჟამის ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ამპარტავანნი, ბოროტის მეტყველნი...*

*სექტანტებთან დაპირისპირებაში კი ყველაზე დიდი ძალა მართლმადიდებლური სარწმუნოება და მართლმადიდებლური ჯვარია. იმაზე, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ანტიქრისტიანულ მიმდინარეობების შემოტევას საზოგადოება, გვესაუბრება წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის* ***დეკანოზი გიორგი (სხირტლაძე).***



# რატომ ეფარებიან სექტანტები ქრისტიანულ სიმბოლოებს?

– დღეს ოკულტური, ეზოთერული სწავლებები შემოსულია დიდი ინტენსივობით და ძალიან პოპულარულიც გახდა. ამით ახალ რელიგიას ამზადებენ. „საიდუმლო დოქტრინა" ბლავატსკაიას მიეცა XIX საუკუნეში, ტიბეტის ერთ-ერთ მონასტერში. ეს არის ტიბეტურ-ეზოთერული დოქტრინა, რომელიც აიგივებს ყველა რელიგიას და მაღლა აყენებს რაღაც საწყის, პირველ რელიგიას. იგი არ სცნობს გამოხსნის მისიას, არც სამების დოგმატს და, აქედან გამომდინარე, ებრძვის მართლმადიდებლობას. ეს გამოიხატა თუნდაც იმ ანტიქრისტიანულ პროცესებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის რუსეთში: ესაა მეფის მკვლელობა, სისხლის ტბორები, ასობით ათასი ადამიანის დახოცვა, რამაც მოიტანა 70-წლიანი ანტიქრისტიანული ეპოქა. ყველაფერს მართავდა ნომენკლატურის, არაქრისტიანული, უგულო ხალხი. მათივე შვილები იზრდებოდნენ მათს იდეოლოგიაზე, ჭეშმარიტი ფასეულობები კი გამრუდებული იყო. ეს მანქანა დღესაც არ გაჩერებულა, ანუ ჩერდება, მაგრამ მას სულიერად კიდევ ეწირებიან ადამიანები...

დღეს საკმაოდ აგრესიულად ცდილობენ სექტები, რომ ადამიანის გონებაში მცდარი, დემონური პრინციპები ჩაიდოს, რომ ყველა რელიგია არის ერთი და იგივე. ბლავატსკაიას წიგნზე ემბლემად ეხატა „სვასტიკა", რომელიც შემდეგ ჰიტლერმა გამოიყენა...

**– მამა გიორგი, არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში მრავლადაა განფენილი ოკულტური ლიტერატურა. ის თითქმის ყველა წიგნის მაღაზიაში იყიდება. ბევრი მათ ინტერესის გამო ყიდულობს, ბევრსაც სჯერა ამ ლიტერატურის... მიგაჩნიათ თუ არა, რომ ყველაფერი გამიზნულად რაღაც მიზანს ემსახურება?**

– მსოფლიოში ხდება მზარდი ინფორმაციის ცენტრალიზაცია. მიმდინარეობს ძალადობის აშკარა და ღია რეკლამა. ეს არის თავისებური, მაგიური მსოფლიო რევოლუცია, დაწყებული მაგიით და დამთავრებული მაგიის კურსებით, რომლებიც ყველგან შეიძლება მოიძიოს ადამიანმა. იქადაგება მაგიური სექტანტიზმი, ამ თემაზე გამოიცემა უამრავი წიგნი, არსებობს ნახატები და პორნოგრაფიული საიტები ინტერნეტში, ტელევიზიით გადმოიცემა ექსტრასენსების ცრუ სწავლებები, რითაც ხალხი გაოცებულია: მაგ: ჭიქა დაფრინავს, წიგნები იხევა, კაკუნი ისმის... რაც ცრუ მიზნებს ემსახურება. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში სადიზმის, მაზოხიზმის და ძალადობის კულტია შექმნილი. ამან მოიტანა კოლოსალური ზრდა დამნაშავეობისა ბავშვებში, მოზარდებში და საერთოდ, მასებში. არის ეპიდემია თვითმმართველობებისა. დესტრუქციული გეოპოლიტიკური ნიშნებია ლოკალური და გლობალური კონფლიქტები, ეკოლოგიური მოწამვლა, საერთაშორისო შუღლის გავრცელება... ლოკალური კონფლიქტები უცებ გადადიან რეგიონულ კონფლიქტებში, გაძლიერებულია აგრესია, არსებობს მრავალი მასობრივი იარაღის შექმნის საშუალება. ნანოტექნოლოგიით იგონებენ სპეციალურ იარაღს, რომელსაც შეუძლია მსოფლიო გაანადგუროს, შეიძლება ვთქვათ, რომ ბირთვული იარაღი სათამაშოა ამ გამოგონებასთან. გააქტიურდნენ საერთაშორისო ფონდები, რომელთა უკან დგანან შავი ორდენები, არის სპეციალური პროგრამები მსოფლიო მმართველობის შექმნისა, მიდის ექსპერიმენტები, რათა მხეცის ბეჭედი იქნეს აღბეჭდილი ხელზე. ეს იქნება უხილავი, ამოუშლელი ლაქა, რომელიც კეთდება სხივებით და მისი საშუალებით ადამიანებს შეეძლებათ ბანკის კრედიტის აღება და შეასრულებს პასპორტის მოვალეობასაც.

**– მამა გიორგი, მსოფლიოში მართლაც არსებობს უამრავი სექტა. ადამიანი რომ არ დაიბნეს და არ დაიკარგოს, რამდენად არის მნიშვნელოვანი და ფასეული ასეთ დროს ღვთივგამოცხადებული რელიგიის შესწავლა? რომელი უფრო საშიშია, ტოტალური სექტები თუ მორმონები და იეღოველები, რომელთაც წალეკეს ამერიკა და პოსტსაბჭოთა სივრცე?**

– ყველა ეს სექტა მართლმადიდებლობის გარეთ დგას და ღრმა ცდუნებებში არიან. თვითონ სიტყვა „ერესი" ნიშნავს დაპყრობას. მათ ლიდერებს ვინც მიჰყვება, თავს იღუპავს. ასეთი სექტების ლიდერებს უამრავი ადამიანი უცდუნებიათ. ამათგან ზოგი თავს იკლავს, ზოგი ფსიქიკურად ირყევა – ნარკოტიკს ეტანება. ისინი აკონტროლებენ ადამიანის ცნობიერებას, აზროვნებას, მეტყველებას... ამას ეძახიან „მაგნიტოფონის ეფექტს", ანუ რა ღილაკსაც დააწვები, იმ ღილაკის ფუნქციის შესაბამისად ილაპარაკებს, იმოქმედებს. ტოტალურ სექტებში ადამიანი ხდება მართვადი. ავიღოთ, თუნდაც, ჰამბარდის საინტოლოგიის ლექსიკონი, თავიანთი სამეტყველო ენითა და ტერმინებით, რომელთაც ზომბირებულნი ჰყავთ სექტის წევრები... მუნიტების სექტაში ყველას ბრმად უნდა სწამდეს ლიდერისა, ხოლო მცირე ეჭვიც კი კვალიფიცირდება „კაენისა და აბელის სინდრომად". მათთვის არ არსებობს დედა, მამა, და, ძმა. ისინი აკონტროლებენ ადამიანის ცნობიერებას, საუბრობენ მარტივი ენით, ასეთივე უბრალო ენით გამოსცემენ ჟურნალებს, ამით კი ხალხს ითრევენ სექტაში... დიდად არ ხმარობენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა მონანიება, მარხვა, ლოცვა, ცოდვა, ერესი ... და თუ ხმარობენ, სულ სხვა მნიშვნელობას დებენ შიგ, რათა არ დატვირთონ მოუმზადებელი ხალხი. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ სექტებს, რომლებმაც დიდხანს გაძლეს, როგორებიცაა იეღოველები, მორმონები, საინტოლოგია, ჰაბრტისტები; არსებობენ ისეთი სექტებიც, რომლებიც უცებ იბადებიან და უცებვე კვდებიან.

სექტების სწავლების პირველი ნიშანია ეკლექტიზმი. ისინი ერთი რელიგიის წიაღში კი არ არიან, არამედ მათი ცნობიერება აგებულია სხვადასხვა რელიგიიდან. ეკუმენიზმს საფუძველი 1893 წელს ჩიკაგოში ჩაეყარა, სადაც შეიკრიბა რელიგიათა მსოფლიო პარლამენტი და ყრილობა ჩატარდა. ის დააფინანსა ოკულტიურმა სევედენბორგიანელმა სექტამ. იქ გამოვიდა სიტყვით ცნობილი რაჯა იოგა, სვამ ვივე კანანდა, სავა კრიშნას მოწაფე. მან წაიკითხა ლექცია და საფუძველი მოამზადა მედიტაციების ტექნიკისა და გურუებისათვის.

პანეკუმენისტები ამბობენ, რომ ღმერთი ერთია, ხოლო სახელებია სხვადასხვა. ცდილობენ ერთიანი „პირველყოფილი" რელიგიის შექმნას. მათ აქვთ ბაჰაისტური ტაძრები; არსებობდა ასეთი, ეზოთერმიზმის მიმდევარი ბაჰა ულა, რომელმაც შეაერთა ცხრა მსოფლიო რელიგიური მიმდინარეობა, ააშენა ტაძარი ცხრა კარით და ერთი ბაჰაისტური ტრაპეზით, სადაც ყველა მიმდინარეობის ცალკეულ კარს მივყავართ ამ ტრაპეზისაკენ ცენტრში...

პროტესტანტიზმი ძველი მიმდინარეობაა, რომელმაც წალეკა დასავლეთ ევროპა. თავიდან კათოლიციზმი გამოეყო მართლმადიდებლობას, ხოლო კათოლიციზმს – პროტესტანტიზმი, რომლის ფუძემდებელი იყო მარტინ ლუთერი.

სექტები ამბობენ, რომ მარტო მათ შეუძლიათ ადამიანების შველა. ისინი თრგუნავენ პირადულ „მე"-ს, ამას კი მოსდევს ფსიქიკის მორყევა და, საბოლოოდ, ეგზალტირება.

**– იეღოველებმა ბიბლიის ბევრი მუხლი ზეპირად იციან. ამის მომსწრე თვითონვე ვყოფილვარ. როგორ უნდა გაარჩიოს უბრალო ადამიანმა ჭეშმარიტი რელიგია სექტისაგან, როცა ისინი სწორედ ქრისტიანული სიმბოლოებით მეტყველებენ?**

– დიახ, სექტანტები ეფარებიან ქრისტიანულ სიმბოლოებს. თუნდაც, ავიღოთ ბესარიონის სექტა, მორმონები, მუნიტები... ისინი გარეგნულად შეიძლება ძალიან მშვიდად გამოიყურებოდნენ, სინამდვილეში სექტა ყოველთვის აგრესიულია. მათი აზრით, ყველა მათი მტერია, ადამიანებად მხოლოდ სექტის წევრებს მიიჩნევენ. ახასიათებთ აკვიატებული შიშები და ინდუცირებული ფობიები. სექტანტებმა იაპონიაში მეტროში, გაზის მეშვეობით უამრავი ადამიანი დახოცეს, ანუ „ქვეყნიერების აღსასრული" უნდოდათ მოეწყოთ, ე.წ. „მეორედ მოსვლა". მათ დღეში ძალიან ცოტა სძინავთ, რადგან უძილობა გონებას ხდის მგრძნობიარეს და ადვილად კონტროლირებადს. მუდმივად იმყოფებიან კვებით რეჟიმში – მათ უჭმელობის განცდა უნდა ჰქონდეთ. ისინი ენერგიულად დასუსტებულნი არიან.

დღეს ბევრია არაქრისტიანული აღმოსავლური სექტი. ასეთებია: კრიშნაიტები, აუმსერნიკიო, ანანდამარგა და სხვები. ასევე ფსიქოლოგიურ-თერაპიული სექტები: საინტოლოგია ლაიფსტრინგი, ნიუ-ეიჯი. ამერიკაში იყო უამრავი შემთხვევა, როცა სექტანტებმა ასობით ადამიანს თავი მოაკვლევინეს წამლებით, გაზით, ხოლო ლიდერები ბოლოს სადღაც ქრებოდნენ და იკარგებოდნენ...

**– როგორ უნდა დაიცვას თავი ადამიანმა ასეთი სექტებისაგან?**

– ასეთი მრავალფეროვნება ადამიანს მართლაც თავბრუს დაახვევს, თუკი ის სულიერად მოუმზადებელია; ამიტომაც ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საღვთო სჯულისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით შესწავლა, რაც ადამიანს უსათუოდ ჭეშმარიტ ორიენტირს მისცემს ცხოვრების გზაზე. ჭეშმარიტი სწავლებით შეიარაღებული კი არ ცდუნდება. ადამიანმა, სასურველია, ჯერ თავისი რელიგიის საფუძვლები და საწყისები იცოდეს და შემდეგ გადახედოს დანარჩენ სხვას და აზრი გამოიტანოს. ბევრი ორგანიზაცია არის ამოფარებული ქრისტიანობას. სინამდვილეში კი შეიძლება სექტა აღმოჩნდეს. ამ ყველაფრის თავი არის ის, რომ სექტების მაჯისცემა მამონის მექანიზმებით იმართება.

გზა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა ერთი დიდი განწმენდის პროცესია. „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა" – ესაა დევიზი და წითელ ხაზად გასდევს მთელ სახარებას. სინანული გვაძლევს საშუალებას არ ჩავვარდეთ ხიბლში და არც სხვა რელიგიურ წარმომადგენლებში. სინანული, მორჩილება და სიყვარული უნივერსალური საშუალებაა ადამიანის განწმენდისა და გადარჩენისა. ადამიანის განწმენდილ გულში და გონებაში კი ყოველთვის ჩანს ღვთის ნება. რაც უფრო გვიყვარს ღმერთი, მით უფრო ახლო ვართ ერთმანეთთან.

ყველა წმიდა მამა საუბრობს იმაზე, რომ საჭიროა თვითდაფუძნება ადამიანისა ღვთის სჯულით. აუცილებელია ღვთის სჯულზე დაყრდნობა, რათა არ მოვწყდეთ ღმერთს. ამისათვის კი არსებობს ეკლესია და მოძღვარი. ეკლესია, როგორც სკოლა ლოცვისა და მოძღვარი, როგორც მასწავლებელი, რათა ადამიანი არ აღმოჩნდეს ხიბლში.



**ესაუბრა**
**ლია ჭილლაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# 2008 წლის აგვისტო: რა დაკარგა საქართველომ?

**საქართველოში რუსეთთან ომის შემდეგ ორი წელია, არ წყდება დავები ამ ომის მიზეზების და შედეგების შესახებ, მაგრამ ის, რომ 2008 წლის აგვისტოს 5 დღე ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი შემობრუნების პუნქტი გახდა, ეჭვს არ იწვევს**

რამდენიმე დღის წინათ, აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრების საფლავთან პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთმა თავისას ვერ მიაღწია.

„მტერმა ვერ მიაღწია თავის მთავარ მიზნებს. მტერმა ვერ შეძლო დემოკრატიული ხელისუფლება საქართველოში... მას სურს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის, რომ შეეცვალა საქართველოს პოლიტიკური კურსი, მაგრამ მტერმა ერთი მისხლითაც ვერ შეძლო, შეეცვალა საქართველოს კურსი. უფრო მეტიც, ეს კურსი განმტკიცდა როგორც არასოდეს, და ეს კურსი შეუქცევადი გახდა, როგორც არასოდეს", – განაცხადა მან.

ბევრში ამ სიტყვებმა მწარე ღიმილი გამოიწვია.

მიუხედავად დასავლეთის მხარდაჭერის იმედისა, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ვერ მოხდა ვერც რუსეთის ჯარების გამოყვანა უღიარებელი რესპუბლიკების ტერიტორიებიდან, ვერც რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გაუქმება.

უცხო არმია თბილისიდან რამდენიმე კილომეტრშია, ათეული ათასობით იძულებით გადაადგილებულს არ შეუძლია დაბრუნდეს თავიანთ სახლებში, დაიკარგა საქართველოს ტერიტორიები.

ამ ფონზე სააკაშვილის განცხადება არასერიოზულად გამოიყურება, მიაჩნია ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს თინა ხიდაშელს. „ამ ომმა საქართველო 10-15 წლის უკან მოისროლა", – ამბობს იგი.

„ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მაგრამ სააკაშვილი თავისივე ნებით აღმოჩნდა ხაფანგში, რაც მისთვის რუსეთმა მოამზადა".

ზოგიერთი პოლიტოლოგის შეფასებით, აგვისტოს მოვლენებმა დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა, დაუხურა საქართველოს კარი ნატოში, ეს კი რუსეთის მთავარი მიზანი იყო.

„დღეს უფრო იოლია ვისაუბროთ საქართველოს ინტეგრაციის შესახებ მარსთან, ვიდრე ნატოსთან", – ამბობს ექსპერტი უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ირაკლი სესიაშვილი.

მას მიაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოში მოსკოვი არ ცდილობდა საქართველოს დედაქალაქისა და მთელი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას, ვინაიდან მას არ შეეძლო კონტროლი დაემყარებინა ქვეყანაზე პოლიტიკური თვალსაზრისით, და აქ გადაეყრებოდა საერთაშორისო გაერთიანების გაცილებით დიდ წინააღმდეგობას.

საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო გამოკვლევების ფონდის წამყვანი ექსპერტის არჩილ გეგეშიძის სიტყვებით, ხუთდღიანი ომის შედეგად რუსეთმა ხანმოკლე პერსპექტივით თავის საწადელს მიაღწია, მაგრამ ვერ აიძულა ნატო, უარი ეთქვა საბოლოოდ რეგიონში აქტიურ პოლიტიკაზე.

სესიაშვილის სიტყვებით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის, ისევე როგორც საქართველოს, მთავრობები ომის მომხრეები იყვნენ. დღეს, დარწმუნებულია იგი, ახალი შეტაკება აღარ იქნება, თუმცა სიტუაცია რეგიონში არასტაბილური რჩება, მოსკოვი და თბილისი კი ერთი მეორეს კვლავ სდებენ ბრალს.

შეთანხმებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა საფრანგეთის პრეზიდენტის შუამავლობით, შეაჩერა სამხედრო მოქმედებანი რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში, მაგრამ მოსკოვი და თბილისი ძველებურად დგანან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, ერთმანეთს უყენებენ ბრალდებებს.

საქართველოს პრეზიდენტი არაერთგზის გამხდარა კრიტიკის ობიექტი ოპოზიციონერების მხრიდან იმისთვის, რომ ორი წლის შემდეგ ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის სტაგნაციის მდგომარეობაშია.

თუმცა ქართველ ექსპერტთა უმრავლესობა ამ აზრს არ იზიარებს.

მათი სიტყვებით, საქმე სააკაშვილში როდია, არამედ ეს არის რუსეთის დაინტერესებულობა შეინარჩუნოს სტატუს-კვო. მოსკოვის უარი ელაპარაკოს სააკაშვილს, მხოლოდ საბაბია არ განიხილოს საქართველოსთან მტკივნეული თემები, მიაჩნიათ ანალიტიკოსებს.

„სამწუხაროდ, ვერ ვხედავ დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების პერსპექტივებს. საქართველოს დასათმობი აღარაფერი დარჩენია, რუსეთი კი ჯერჯერობით არ არის მზად რაიმე დათმობაზე წასვლისთვის", – ამბობს პოლიტოლოგი ანდრო ბარნოვი.

დასავლეთის მცდელობამ, შეარიგოს მოსკოვი და თბილისი, ჯერჯერობით შედეგს ვერ მიაღწია. საქართველოს მთავრობა კვლავ დაჟინებით მოითხოვს რუსეთის ჯარების გაყვანას უღიარებელი რესპუბლიკებიდან, ბრალს სდებს მოსკოვს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაში. რუსეთი კი დაჟინებით ამტკიცებს თავის სიმართლეს და უარს აცხადებს დიალოგზე საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან.

პოლიტოლოგების აზრით, დასავლეთს არ დაუკარგავს ინტერესი საქართველოსადმი, თუმცა, მიუხედავად კრიტიკისა მოსკოვის მისამართით საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან და მოწოდებისა უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე, საქართველოს არ უნდა ჰქონდეს დიდი იმედები. რუსეთი, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში, ძნელად, რომ მოუსმენს დასავლელი პარტნიორების რჩევებს.



**ნინა ახმეტელი**

BBC RUSSIAN.com

# საქართველოს აშშ-ს დახმარება სჭირდება, რათა აღდგეს და დაუპირისპირდეს რუსეთს

**მართალია, კვლავინდებურად არის აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაიწყო ეს კონფლიქტი, მაგრამ ამის უარყოფა შეუძლებელია: ორი წლის წინათ რუსეთის ამ გამსვლელმა ჯარებმა გადაკვეთეს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები და შეიჭრნენ საქართველოში. მათ შეუტიეს ქვეყანას სტრატეგიული ბომბდამშენების დახმარებით, შევიდნენ მისი სუვერენული ტერიტორიის სიღრმეში, თითქმის 127 ათას ეთნიკურ ქართველს წაართვეს მათი სახლები, აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და დაამყარეს სამხედრო ოკუპაცია, რომელიც მოქმედებს დღესაც**

ბევრი რამ შეიცვალა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, თუმცა არა უკეთესობის მხრივ. რუსეთი არა მხოლოდ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის, არამედ აგებს იქ თავის სამხედრო ბაზებს, უარს ეუბნება ჰუმანიტარულ მისიებსა და მეთვალყურეების იქ შესვლაზე, ნებას რთავს ქართველების ეთნიკურ წმენდას სამხრეთ ოსეთში და განამტკიცებს გამოყოფილი რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებს, რათა გადააქციოს ისინი სამხედრო საზღვრებად. გაეროს შეფასებით, 100 ათასზე მეტი ეთნიკური ქართველი, რომლებიც გამოიქცნენ რუსეთის შემოჭრის შედეგად, კვლავინდებურად ვერ დაუბრუნებიან თავიანთ სახლებს. დღესაც კი რუსეთი აგრძელებს შეთანხმების დარღვევას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მიღწეულ იქნა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის დახმარებით.

მიუხედავად ცხოვრებისა რუსეთის მუდმივი საფრთხის ქვეშ, საქართველო კვლავ წინ მიიწევს. თითქმის ათასი ქართველი ჯარისკაცი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აგრძელებს ბრძოლას ჩვენთან ერთად ავღანეთის ყველაზე რთულ რაიონებში. საქართველოში ძლიერდება კანონის დიქტატურა და ბრძოლა კორუფციასთან. მისი ეკონომიკა კი იზრდება ისეთი ტემპებით, რომ მსოფლიოს ბანკმა ქვეყანა მსოფლიოში 11-მა საუკეთესო ადგილზე დააყენა ბიზნესმენებისთვის. მერის არჩევნები, რომლებიც გაიმართა მიმდინარე წელს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, დასახელდა საერთაშორისო მეთვალყურეების მიერ თავისუფალ და სამართლიანად. მართალია, პოლიტიკური რეფორმები საქართველოში ჯერ არ დამთავრებულა, ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა არჩევნებს თბილისში „ქვეყნის დემოკრატიული განვითარების რეალური ნაბიჯი" უწოდეს.

მაგრამ რუსეთში სამართალდამცველებს კვლავ აშინებენ, მკვლელობითაც კი. გასულ უქმე დღეებში მშვიდობიან დემონსტრანტებს, მათ შორის ყოფილ ვიცე პრემიერს ბორის ნემცოვს, სცემეს და დააპატიმრეს კიდეც იმის მცდელობის გამო, რომ განეხორციელებინათ თავიანთი ძირითადი უფლებანი, რომლებიც გარანტირებულია რუსეთის კონსტიტუციით. თუ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ეძებს პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის ნიმუშს, მან თავისი მზერა უნდა მიაპყროს საქართველოს. ხოლო თუ ობამას ადმინისტრაცია ეძებს დამოკიდებულებას, რაც ნამდვილად სჭირდება „გადატვირთვას", მანაც თავისი მზერა უნდა მიაპყროს საქართველოს.

ადმინისტრაციას, როგორც ჩანს, უფრო მეტად სურს დააშოშმინოს ავტორიტარული რუსეთი, ვიდრე მხარი დაუჭიროს მეგობრულ ქართულ დემოკრატიას, რომელიც ცხოვრობს თავისი აგრესიული მეზობლის ჩრდილში. თეთრი სახლი არ იშურებს მედვედევისთვის ხანგრძლივ სატელეფონო საუბრებსა და კერძო შეხვედრებს, საგარეოპოლიტიკური უპირატესობა კი აქედან ძალიან უმნიშვნელოა. ამ დროს ადმინისტრაციამ ვერ გამოიჩინა განსაკუთრებული მზადყოფნა საქართველოს ხელმძღვანელოსთან ურთიერთობისთვის, რომელიც გულისხმობს საქართველოს გაწევრებას ნატოში, დახმარებას მისი თავდაცვითი პოტენციალის უზრუნველყოფისათვის. უკანასკნელ პერიოდამდე ადმინისტრაცია მზადაც კი არ იყო რუსეთის ჯარების საქართველოში ყოფნისთვის მიენიჭებინა თავისი სახელი – ოკუპაცია, – რომ აღარაფერი ითქვას იმის შესახებ, რომ მოახდინოს ზემოქმედება რუსეთზე, აიძულოს იგი გამოიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიებიდან. ამ ცოტა ხნის წინათ თეთრმა სახლმა და მისმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გააკეთეს რამდენიმე დამაიმედებელი განცხადება საქართველოს მხარდასაჭერად. ახლა მათ ეს კარგი სიტყვები უნდა გადააქციონ სტრატეგიის გაუმჯობესებად.

თუ მედვედევს მართლაც სურს, რომ რუსეთში ბატონობდეს კანონი, მან უნდა მოიყვანოს თავისი მთავრობა ომამდელ პოზიციამდე რუსეთის ძალების დაბრუნების საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისობაში. თუ რუსეთის მხრიდან არ იქნება პროგრესი, ამან გარკვეულ შედეგებამდე უნდა მიგვიყვანოს: მედვედევმა უნდა იცოდეს, რომ თანამშრომლობა საქართველოსთან – ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების პრიორიტეტი, და თუ რუსეთი არ დაუთმობს ჩვენს პრიორიტეტებს, მაშინ არ უნდა ველოდოთ, რომ შეერთებული შტატები დაეხმარება მას პრიორიტეტებში, ისეთებში, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

საქართველოსაც აგრეთვე სჭირდება ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა თავისი თავდაცვითი პოტენციალის აღდგენის საქმეში. საქართველო ავღანეთში ომისთვის უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ნატოს ბევრი სხვა წევრი, ვისთანაც მას სურს შეერთება. მაგრამ უკიდურესად რთულია დაარწმუნო ადმინისტრაცია იმაში, რომ დათანხმდეს მიანიჭოს საქართველოს ჯარებს, რომლებიც აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებებს, ყველაზე მარტივი შეიარაღება, ჯავშანმანქანები და სათადარიგო ნაწილები. ამ ხანმოკლე დახმარების გარდა საქართველოს კვლავ სჭირდება ხანგრძლივი მხარდაჭერა თავის საკუთარი თავდაცვის საქმეში.

ყველა ზარალის მიუხედავად, რაც საქართველოს მიადგა და რაც მას კიდევ უფრო მეტად ემუქრება, რუსეთმა ვერ შეძლო მიეღწია თავისი სტრატეგიული ამოცანებისთვის: საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ გაუძლო და იგი ყვავის. ურთიერთობამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის უნდა განამტკიცოს ეს წარმატება, და არ დააყენოს იგი ეჭვის ქვეშ. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მხარი დავუჭიროთ საქართველოს გადაქცევას ძლიერ, მთლიან და თავისუფალ ქვეყნად – მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, გვეხსომება თუ ვინ არიან ჩვენი ნამდვილი მეგობრები.

washingtonpost.com

## დედამიწის ზურგზე



**ჩინეთში ზვავების შედეგად დაიკარგა 1300 კაცი, წყალდიდობის შედეგად დაზარალდა 20 ათასზე მეტი**

უკვე ცნობილია 127 დაღუპული შესახებ. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებს. წვიმებმა განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენეს ჩუანცუვის მაზრას.

* * *

**თურქეთში ქორწილზე სიძემ ავტომატით დაცხრილა მამა და ორი მამიდა**



კიდევ 8 სტუმარმა მიიღო მძიმე დაზიანება. საგანგებო შემთხვევა მოხდა ტრადიციის გამო — აღნიშნონ ცეცხლსასროლი იარაღით საზეიმო მოვლენები: ქორწილი, დაბადების დღე, აგრეთვე სპორტული გამარჯვებები.

* * *

**ჩავესმა უარყო აშშ-ს ახალი ელჩის კანდიდატურა კარაკასში**



როგორც თავის ტრადიციულ საკვირაო ტელეპროგრამაში აღნიშნა ვენესუელის ლიდერმა, ამერიკელმა დიპლომატმა ლერი პალმერამ მოახდინა თავისი პიროვნების „დისკრედიტაცია", როდესაც გამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატში ამ სამხრეთ ამერიკის ქვეყნის მისამართით მწვავე გამონათქვამებით.

* * *

**ერაყის ძალები მზად არიან, შეინარჩუნონ უსაფრთხოება თავიანთ ქვეყანაში**



ამის შესახებ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდალმა ერაყში გენერალმა რეიმონდ ოდიერნომ. წინა დღით შეერთებულმა შტატებმა ადგილობრივ ძალებს გადასცეს კონტროლი ქვეყანაში ყველა საბრძოლო ოპერაციებზე. აბუ-გრეიბში გაიმართა ამერიკის უკანასკნელი სამხედრო ბრიგადის გაცილების ცერემონია.

* * *

**ასაფრენი თვითმფრინავის ძრავში ალიასკაზე არწივი მოხვდა**

თვითმფრინავი, რომელშიც ისხდნენ 134 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი, გააჩერეს სახიფათო ინციდენტის გამო ასაფრენი მოედნის ბოლო წერტილიდან 915 მეტრში. ალიასკის საავიაციო სამსახურმა ბოდიში მოიხადა მგზავრების წინაშე მათთვის ცუდი პირობების შექმნის გამო.

ჩვენი კარაბადინი

# სიმხიარულე



### ვსწავლობთ მკურნალობას ხარხარით

**ეს თქვენ ქირქირი და როხროხი არ გეგონოთ, სიცილისთვის სერიოზულად უნდა ემზადებოდე. ის ხომ ორგანიზმში გამოიმუშავებს ბუნებრივ გამაუტკივნებელ ნივთიერებებს, აგრეთვე კარგი განწყობილების ჰორმონებს – ენდორფინებს. თავისი ქიმიური შემადგენლობით ისინი მორფენისა და ჰეროინის ანალოგიურები არიან და ადამიანზე ახდენენ დამამშვიდებელ ზემოქმედებას. ბევრი ღებულობს სპირტიან სასმელებსა და ნარკოტიკებს, რათა თავი იგრძნონ, როგორც ბედნიერმა ხალხმა ნორმალურ ცხოვრებაში.**

ჯანსაღი სიცილის მხოლოდ ერთი წუთი უზრუნველყოფს ორგანიზმის მოდუნებას მომავალი 45 წუთით. ხოლო როდესაც ვიცინით 20 წამის განმავლობაში, ეს უტოლდება სწრაფი ნიჩბოსნობის 3 წუთს ან გამაჯანსაღებელი სირბილის 15 წუთს. მაგრამ, სამწუხაროდ, სტატისტიკის მიხედვით, ზრდასრული ადამიანები დღეში სულ 15-ჯერ იცინიან, მაშინ, როდესაც სკოლამდელი ასაკის პატარები ხარხარებენ დღეში ლამის 400-ჯერ.

სიცილი მართლაც სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ მხიარული ადამიანები გაცილებით იშვიათად ავადდებიან. უფრო ხშირად ხდებიან ავად ისინი, ვინც მუდმივად წუწუნებს და მოწყენილია. სხვათა შორის, თქვენ მოღუშული ხართ ამ წუთში? მოიშორეთ თავიდან ეს ჩვევა, უბრალოდ მიიდეთ ხელი შუბლზე, როდესაც ამაში თქვენს თავს „გამოიჭერთ". თუ სახის მჭმუნვარე გამოსახულება დამახასიათებელია თქვენთვის, ეცადეთ უფრო ხშირად გაიღიმოთ, მაშინ განწყობილებაც გაგიუმჯობესდებათ.

ხშირად ვხედავთ ხალხს „მჭმუნვარე სახით", მათ არ შეუძლიათ არა თუ მხიარულება, არამედ მთლიანად სიცილი, ღიმილი. შეიძლება ამის მკურნალობა? დიახ, შეიძლება, მათთვის არსებობს სიცილის თერაპია.

### გასართობი იოგა

**იოგაში არის ერთი ასეთი მიმართულება – ხასია – იოგა, რომლის ვარჯიშებიც იოგას მეთოდიკას ემყარება. სიცილის იოგა პრაქტიკულად განახორციელა ინდოელმა ექიმმა მადან კატარიამ, რომელმაც მეცადინეობების ძირითად იდეად დაისახა – ასწავლოს ადამიანს არაბუნებრივი სიცილიდან გადავიდეს ბუნებრივზე. ხასია – იოგა თავის თავში აერთიანებს სიცილის მასტიმულირებელ ტექნიკას, სიცილის იმიტაციის სხვადასხვა სახეობებს, აგრეთვე, როგორც ნებისმიერი სხვა იოგა, სუნთქვას. სიცილის იმიტაციის რამდენიმე წუთის შემდეგ ადამიანი უკვე იცინის კმაყოფილებითა და გულითადად.**



მადან კუტარიას წყალობით, ინდოეთის დიდ ქალაქებში გაჩნდა სპეციალური „სიცილის კლუბები" (ამჟამად მათი რიცხვი 10 ათასზე მეტია), სადაც ხალხი მიდის „სტრესისა და ინფარქტის თავიდან მოსაშორებლად".

ზოგიერთ ადამიანს იოგას არ ურჩევენ, კერძოდ კი თიაქრიან, თვალის სნეულებით დაავადებულ პაციენტებს, ვინაიდან იგი საზიანოა გულის სერიოზული დაავადებებისთვის, ფსიქიკური გადახრებისა და იმათთვის, ვისაც ცოტა ხნის წინათ ოპერაცია გაუკეთეს. ხანგრძლივ სიცილს თავი უნდა აარიდონ ფეხმძიმეებმაც.

### მკურნალი კლოუნი

**ამერიკის, შვედეთის, საფრანგეთისა და ავსტრიის კლინიკებში გახსნილია სიცილის თერაპიის კაბინეტები. იქ მიაქვთ ვიდეოკასეტები სიცილის მკაცრად დოზირებული პორციებით. ასეთ კლინიკებში ქრონიკულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით წარმატებით მიდის.**

ზოგიერთ საბავშვო კლინიკაში ექიმები და მედიცინის დები, როდესაც ბავშვებთან აქვთ ურთიერთობა, იცვამენ კლოუნების კოსტიუმებს. გერმანიაში ექიმ-კლოუნების მთელი ასოციაციაც კი არსებობს. მძიმედ დაავადებული ბავშვების მკურნალობას ისინი თამაშად აქცევენ. ავსტრიისა და ჰოლანდიის დიდ საავადმყოფოებში მკურნალი კლოუნების თანამდებობა საშტატო ნუსხაშიც კია შეტანილი.

ამერიკელმა ჰარი ედვარდსმა ჩეხეთში შექმნა სამოქალაქო გაერთიანება სახელწოდებით „მკურნალი კლოუნი", სადაც მოხალისეები რეგულარულად აწყობენ კლოუნადებს. ამ მოძრაობას შეუერთდნენ უნგრეთი და პოლონეთი. ისრაელის ერთ-ერთ ჰოსპიტალში სამედიცინო დების, ექიმებისა და ფიზიოთერაპევტებისთვის არის ექვსთვიანი კურსები. ბევრი მათგანი, ვინც იქ ისწავლა, ქვეყნის საუკეთესო სამედიცინო ცენტრში მუშაობს.

## როგორ ამოვიცნოთ ყალბი ღიმილი?



**როდესაც ადამიანი გვიღიმის, ხშირად არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, აკეთებს ის ამას გულით, თუ უბრალოდ „ასეა საჭირო". რომ განვასხვავოთ ყალბი ღიმილი გულწრფელისგან, უნდა გვახსოვდეს: გულწრფელი ღიმილის დროს თვალის უპე (ზედა ნაწილი) ჩამოდის დაბლა, წარბების ბოლოები კი ოდნავ იხრება ქვემოთ, ასევე ჩნდება ნაოჭები თვალების კუთხეებში.**

**ყალბი ღიმილი ეხება მხოლოდ ტუჩებს, ის ჩნდება გულწრფელზე უფრო ადრე, გრძელდება უფრო დიდხანს.**

**ყალბი ღიმილი სახის მარცხენა ნაწილზე არის უფრო მკაფიოდ გამოსახული, ვიდრე მარჯვენაზე, გულწრფელი – ყოველთვის სიმეტრიული იქნება.**

### სიცილის სკოლა

**მილანში 1909 წელს დაარსდა ორიგინალური სკოლა. ის შექმნა ცნობილმა იტალიელმა ტენორმა ფლამინგომ. მას უნდოდა ესწავლებინა ხალხისთვის სიცილის უნარი. კურსი 10 სეანსისგან შედგებოდა. კლიენტები მოსვენებას არ აძლევდნენ ფლამინგოს.**

მსოფლიოში ასევე ერთ-ერთი პირველი სკოლა ზედმეტად სერიოზული ხალხისთვის გაიხსნა ბერლინში. ამ დაწესებულებაში პროფესიული პედაგოგები გერმანელებს ასწავლიან სიცილის ხელოვნებას. მათი მთავარი ამოცანაა – ასწავლონ სტუდენტებს სიცილი ნდობის მანერით, ვინაიდან სიცილის სწორედ ეს სახეობა ითვლება ყველაზე კეთილგანწყობილად და გულუბრყვილოდ.

მიუნხენში არის მთელი სკოლა, სადაც ხალხს სიცილის დახმარებით ასწავლიან იგრძნონ თავი უკეთ თავის თავთანაც და სხვებთან ურთიერთობაშიც. ამ სკოლის დამაარსებელი კრისტოფ ემელმანი ამტკიცებს: „სიცილი – ეს არის საუკეთესო საშუალება ჰარმონიაში მოიყვანო სხეული, სული და გონება, ამავე დროს საუკეთესო ვარჯიში სუნთქვისათვის". მათთვის, ვისაც არ აქვს საშუალება პირადად დაესწრონ გაკვეთილებს მიუნხენში, ემელმანმა დაწერა სახელმძღვანელო სავარჯიშოებით. სახელმძღვანელოს თან ახლავს გადამღები სიცილის სამოცწუთიანი დისკი.

## რით არის სასარგებლო ღიმილი და ნამდვილი გულწრფელი სიცილი?

- *უმჯობესდება ჯანმრთელობა, პოზიტიურ გავლენას ახდენს სხეულის ყველა ორგანოზე.*
- *ჩქარდება სუნთქვა, მუშავდება დიაფრაგმა, კისერი, მუცელი, სახე და მხრები.*
- *იზრდება ჟანგბადის შემადგენლობა სისხლში.*
- *ნელდება გულისცემა და ფართოვდება არტერიები.*
- *უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ფართოვდება სისხლძარღვები, რომლებიც კანს ეხებიან (ამიტომ არის, რომ სიცილის დროს ადამიანს უწითლდება სახე).*
- *უმჯობესდება მადა და იწვება კალორიები.*
- *ღიმილი და სიცილი ეხმარება ადამიანს მეგობრების შეძენაში.*
- *ვითარდება ინტელექტი.*
- *უფრო ადვილად ვართმევთ თავს სტრესს.*
- *ძლიერდება იმუნიტეტი.*
- *საბოლოო ჯამში კი გვიხანგრძლივდება სიცოცხლე.*

## თქვენ ეს იცოდით?

### სისხლის გაწმენდის საშუალება

**უნიკალური ნანოფირი პლაზმოფერეზისთვის – სისხლის გაწმენდისთვის – დაამუშავეს რუსმა მეცნიერებმა ქალაქ დუბნიდან.** პლაზმოფერეზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვიშოროთ ქოლესტერინი და ლიპოპროდეიდები, რომლებიც ბინდიან სისხლძარღვებს და მივყავართ ათეროსკლეროზამდე. ახალი დამუშავება საშუალებას იძლევა სისხლი გავიწმინდოთ გაცილებით იოლად.

### კმაყოფილების წამალი

**ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს წამალი, რომელიც თრგუნავს მადას და გვეხმარება ჩამოვიშოროთ სურვილი ძილის წინ შევჭამოთ რაიმე გემრიელი. ეს არის ჰემოპრესინი, ის ადამიანის ორგანიზმშია, ამიტომ მისი გამოყენება გახდომის პრეპარატებში არ იწვევს ორგანიზმის სტრესის პროვოცირებას.**

ჰემოპრესინი ბლოკავს ტვინში კმაყოფილების ცენტრებს, რომლებიც აქტიურდებიან, როდესაც ჩვენ ვტკბებით ჭამით ან სიგარეტით. შედეგად მცირდება შეჭმული საკვების ოდენობა, ვინაიდან ჩვენ ვწყვეტთ ჭამას კმაყოფილებისთვის და არა შიმშილის მოსაკლავად.

ანალოგიური მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ ალკო და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობისთვისაც, მიაჩნიათ მეცნიერებს მანჩესტერის უნივერსიტეტიდან.

### გამოიძინეთ და არაფერი დაგავიწყდებათ



**ისინი, ვისაც საკმარისად სძინავთ, საქმეს იმათზე გაცილებით უკეთართმევენ თავს, ვიდრე ისინი, ვინც ცდილობს ყველაფერი ძილის ხარჯზე მოასწროს, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. ძილი აუმჯობესებს პერსპექტიულ მეხსიერებას, რომელიც გვეხმარება არ დავივიწყოთ, რომ დროულად დავლიოთ წამალი ან ვუყიდოთ საჩუქრები დაბადების დღისთვის ახლობლებს. ამას გარდა ძილი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს შემეცნებითს ჩვევებში.**

სავარაუდოდ, პერსპექტიული მეხსიერების მუშაობა ხდება ნელი ტალღის ძილის – ძილის ადრეული ციკლის – დროს ჰიპოკამპსა და თავის ტვინის ქერქს შორის ნერვების სიგნალების მონაწილეობით. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამ დროს ჰიპოკამპი ააქტიურებს მოგონებებს და ათავსებს მათ ტვინის ქერქში ხანგრძლივი შენახვისთვის.

### ყავა ძალას მოგანიჭებთ

**ყავა გვანიჭებს ძალას და ზრდის ამტანუნარიანობას, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები.** მათ მოახდინეს იმის ტესტირება, თუ როგორ მოქმედებს კოფეინი თაგვების კამბალისებრ კუნთებზე. აღმოჩნდა, რომ კოფეინის 70 მიკროჩრჩილი ერთ ლიტრ სითხეზე თაგვის ძალას 6 პროცენტით ზრდის. სპეციალისტების სიტყვებით, ანალოგიური ეფექტი შეიძლება შევნიშნოთ ადამიანებშიც. მარათონელ სპორტსმენებს შეუძლიათ გამოიყენონ კოფეინი შედეგების გასაუმჯობესებლად.



ЗДОРОВЬЕ

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე



**„დიდი ხუთეულიდან“ ეროვნულ ჩემპიონატში პირველნი საფრანგეთის პრემიერ დივიზიონის წარმომადგენლები ჩაებნენ.** შარშანდელი ჩემპიონი „მარსელი“ დისკვალიფიცირებული ბრანდაუს გარეშე შინ ვერაფერს გახდა დებიუტანტ „კაენთან“ – 1:2. ასეთივე ხვედრი ერგო ვიცე-ჩემპიონ „ბორდოს“, რომელიც სტუმრად „მონპელიესთან“ დამარცხდა – 0:1. ფრანგული ფეხბურთის კიდევ ერთი გრანდი „ლიონი“ საკუთარ მოედანზე „მონაკოს“ დაუზავდა – 0:0.

**ჰოლანდია. I ტური.** „გრონინგენი“ – „აიაქსი“ 2:2, „ფეიენოორდი“ – „უტრეხტი“ 3:1, „როდა“ – „ტვენტე“ 0:0, „ჰეერენვეენი“ – „ეინდჰოვენი“ 1:3, „ბრედა“ – „ალკმაარი“ 1:1.

**ბელგია. II ტური.** „გენტი“ – „გენკი“ 0:4, „შარლერუა“ – „ანდერლეხტი“ 0:0, „ლიერსი“ – „სტანდარდი“ 1:4.

**ინგლისი. სუპერთასი.** „მანჩესტერი“ – „ჩელსი“ 3:1.

**გერმანია. სუპერთასი.** „ბაიერნი“ – „შალკე“ 2:0.

**თურქეთი. სუპერთასი.** „ტრაბზონი“ – „ბურსა“ 3:0.

ევრო – 2011

# როცა ჩვენ ვისვენებდით

**ვინაიდან 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ხუთი გუნდი თამაშობს, ყოველ კალენდარულ დღეს ერთს დასვენება უწევს. მესამე ტურში ამ უფლებით საქართველოს ნაკრებმა ისარგებლა.**

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს ფინალური ეტაპის საგზურებისათვის ბრძოლაში „ჯვაროსანთა“ უშუალო კონკურენტების – ბულგარელ და პოლონელ კალათბურთელთა მატჩი იწვევდა. მართალია, სტუმრებმა ჯიგრიანად დაიწყეს შეხვედრა და ერთ ეპიზოდში 12-ქულიანი უპირატესობით დაწინაურდნენ, მაგრამ პრინციპული დუელის მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – უაღრესად მძაფრ ენდშპილში ბალკანელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს – 74:70.

ასევე უდანაკარგოდ განაგრძობს გამოსვლას ბელგია, რომელმაც პორტუგალიაში იმძლავრა – 78:69. აღსანიშნავია, რომ პირველ ნახევარში პირენეელები ღირსეულად გაუმკლავდნენ მრისხანე მეტოქეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მდევრის როლიც კი გამოუწერეს – 33:32, თუმცა შესვენების შემდეგ ძალამ აღმართი მოხნა.

**ასე რომ, სამი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:** ბელგია, ბულგარეთი 2-2 (2 თამაშიდან), საქართველო (2 თამაშიდან), პოლონეთი – 1-1, პორტუგალია – 0 მოგება.

**ხვალ: საქართველო – პორტუგალია, ბელგია – ბულგარეთი. ისვენებს პოლონეთი.**



კალათბურთი

# „სამოსანი“ ჭაბუკები

**ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გრძელდება 16 წლის კალათბურთელთა ევროპის პირველობის (B დივიზიონი) შესარჩევი ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდის საქართველოს ნაკრები (გოლეთიანი, გოგბერიძე, რამიშვილი, ბურჯანაძე, გრძელიძე, ლოლაშვილი, მიქელაძე, კვანტალიანი, ცირეკიძე, ნადირაძე) გია კაზანჯიანის ხელმძღვანელობით. ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს: სტარტზე რუმინეთი დაამარცხეს, მერე ოვერტაიმში ბელგიას აჯობეს – 65:64. მესამე ტურში კი სლოვენიას სძლიეს ასევე დამატებით ხუთწუთიან მონაკვეთში – 70:69 (16:16, 10:8, 15:16, 16:17, 13:12) და გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ. ბოლო ტურში ისინი ლუქსემბურგელებს დაუპირისპირდებიან.**

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 218-194 | 6 |
| სლოვენია | 3 | 2 | 1 | 233-161 | 5 |
| ბელგია | 4 | 1 | 3 | 268-254 | 5 |
| ლუქსემბურგი | 3 | 2 | 1 | 186-230 | 5 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 165-231 | 3 |

**ლაშა ბედია**

ჭიდაობა

# „კლასიკოსთა“ ნადავლი

**სარაევოში გასულ უქმეებზე ბერძნულ-რომაული სტილით ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში ჩვენი ფალავნებიც მონაწილეობდნენ. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვაჟა კრავეიშვილის შეგირდებმა თითო „ოქრო-ვერცხლი“ და ოთხი „ბრინჯაო“ მოიპოვეს.**



კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა კონტინენტის შარშანდელი პირველობის გამარჯვებული ფირუზ წულუკიძე (63კ. შარშან მან უმაღლესი ჯილდო 58 კილოში დაიმსახურა. ამჯერად კი წონა შეიცვალა, მაგრამ ამას წულუკიძეზე გავლენა არ მოუხდენია. პირველ წრეში მან ფინელ ოსკარ ლენტონენი დაამარცხა, შემდეგ გზიდან ჩამოიშორა ნორვეგიელი რუბენ ტოფტენდალი, უკრაინელი ანდრეი ციპანი, რუსი აბუიაზიტ მანციგოვი, ფინალში კი სომეხ კარაპეტ ჩალაიანს აჯობა.

კარგი სტარტი აიღო იაკობ ქაჯაიამაც (100კ), რომელმაც ჯერ რუმინელი ბარაბზან ტიბერიუ დაჯაბნა, მერე მის გზას გაუყენა პოლონელი ალექსანდერ კროჟაკი და გერმანელი იონ კრისტიანსი. გადამწყვეტი პაექრობა უკრაინელ სამირ ვოლოშანიანთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

თითო ორთაბრძოლა წააგეს და „ბრინჯაო“ ერგოთ ედნარ შავაძეს (42კ), ამირან შავაძეს (54კ), ლაშა გობაძესა (76კ) და რობერტ ქობლიაშვილს (85კ), ხოლო შმაგი ბოლქვაძე (50კ), რამაზ სურმანიძე (58კ) და მათე ბერიანიძე (69კ) კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ, მურთაზ ჩაბრავას (45კ) კი საერთოდ არ უჭიდავია.

**ლექსო ცინცაძე**

სინგაპური – 2010

# მხოლოდ 5 სპორტსმენით

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის – ჟაკ როგის ინიციატივით წლეულს პირველად მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები გაიმართება, რომელსაც 14-26 აგვისტოს სინგაპური უმასპინძლებს. სოკ-მა თამაშებზე მოსახვედრად საკმაოდ მკაცრი ლიმიტი დააწესა.** თითოეულ ქვეყანას ამა თუ იმ სახეობაში კვოტები გამოუყო, რომლის შესაბამისად საქართველოს სინგაპურში 10 სპორტსმენის ყოლა შეეძლო, მაგრამ შესარჩევი ბარიერი მხოლოდ ძიუდოისტებმა – ბექა ტულუშმა (66კ) და სოფიო ბერიძემ (63კ), მოცურავე გიორგი მთვრალაშვილმა, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა – ირაკლი მოსიძემ (63კ) და გენო პეტრიაშვილმა (100კ) გადალახეს. მთვრალაშვილი 15 აგვისტოს გავა ცისფერ ბილიკებზე, ორი დღის შემდეგ მოსიძესა და პეტრიაშვილს უხმობენ ხალიჩა, ხოლო 21-23 აგვისტოს ტულუში და ბერიძე იბრძოლებენ მედლებისთვის. საქართველოს სპორტულ დელეგაციას, რომელიც დღეს გაემგზავრება სინგაპურს, სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი უხელმძღვანელებს.




**გიორგი გაგუა**

ინტერნეტიდან

## თურმე ბოლტიც მარცხდება

**თავისი სპორტული მაჩვენებლებით თითქმის უკვე ლეგენდად ქცეული მორბენალი – იამაიკელი უსეინ ბოლტი – ერთბაშად სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი რომ გახდა, ყველას დაუმარცხებელი მიაჩნდა, მაგრამ სტოკჰოლმში, შვედეთის დედაქალაქში „ბრილიანტის ლიგის“ მე-11 ეტაპზე ის პირველად დამარცხდა თავის ამერიკელ მეტოქე ტაისონ გეისთან 100-მეტრიან დისტანციაზე.**

ფინალში მეტოქეებს ორჯერ მოუხდათ სტარტის დაწყება. გეი პირველივე მეტრებიდან წინ გაიჭრა და ბოლტი მას ველარ დაეწია. ამერიკელის დროა 9,84 წამი, იამაიკელისა – 9,97. როგორც ამბობენ, ეს იყო ყველაზე ნელი ფინალური გარბენა ბოლტის პროფესიონალურ კარიერაში.




როგორც შეჯიბრების შემდეგ გეიმ განაცხადა, ბოლტი არ იყო იდეალურ ფორმაში და მას იმედი აქვს, რომ კიდევ შეხვდება 100-მეტრიან დისტანციაზე ბოლტსაც და პაუელსაც. ეს ერთობლივი გარბენა კი სადღაც 9,60 წამის ფარგლებში დასრულდება.

## ტრიბუნებზე ველარ დალევენ?!

**გულშემატკივრებისთვის არც თუ სასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღეს: 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში, რომელიც ბრაზილიაში უნდა გაიმართოს, სტადიონებზე აიკრძალება**




**ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა. ეს აკრძალვა მიღებულია ფედერალური კანონის დონეზე იმ შტატებში, სადაც ჩემპიონატის მატჩები გაიმართება – ჰერნამბუკში, რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუში.**

ამგვარად ძალზე იზარალებენ კომპანიები, ვისაც ალკოჰოლთან აქვთ საქმე. მაგალითად, „ბუდვაიზერი“, რომელმაც 32 მილიონი ევრო გადაიხადა, რათა ჩემპიონატის პარტნიორი გამხდარიყო. პლანეტის მუნდიალზე მისი ლუდი მხოლოდ სპეციალურ საფანატო ზონებში გაიყიდება.

ბრაზილია პირველი ქვეყანა იქნება, სადაც ჩემპიონატის დროს ალკოჰოლური სასმელები აიკრძალება.

## ბიანკამ იეშმაკა

**სახელგანთქმულმა რუმინელმა მოდელმა ბიანკა დრაგუშანუმ, ადრე ძალზე „თბილი“ დამოკიდებულება რომ ჰქონდა ფეხბურთში ქვეყნის ნაკრების წევრთან ფორვარდ ადრიანო მუტუსთან, ახლა კი ბუქარესტის „სტიაუას“ მცველს ადრიან კრასტიას რომ ეთაყვანება, სცადა ისევ საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფნა, რაც მისი პრესაში მოხსენიების რაოდენობითაც გამოიხატება.**



ბიანკამ გადაწყვიტა კარდინალურად შეეცვალა თავისი გარეგნობა. არა, პლასტიკური ოპერაცია მას არ გაუკეთებია. ლამაზმანმა მხოლოდ თავისი ნათელი ფერის თმები ცეცხლოვან ქერად გადაიღება და მაიამშიც გაემგზავრა.

მისდა გასაოცრად იქ დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, თითქოს ვერც კი შეამჩნიეს. აქ ბიანკამ იეშმაკა. რამდენიმე წუთით საცურაო კოსტიუმის ბიუსტჰალტერი მოიძრო და შედეგსაც მიაღწია. მამაკაცთა უმრავლესობა (და არა მხოლოდ ისინი) თვალს არ აშორებდნენ მის დიდებულ მკერდს. თმის ფერი აღარავის გახსენებია.

## ◉ გულის ბუხარი

# ტარიელა

**ივლიანე ზარანდიას 6 შვილი ჰყავდა, გახა გერმესაშვილს – 7, მურზაყან აგრბას – 12, ილარიონ შამუგიას – 8, და ასე შემდეგ!**

**მაშინ, მხოლოდ 131 ოჯახი გვყავდა მოკვლეული მე და ჩემს მეგობრებს საქართველოში და, ამ 131 ოჯახს, ერთობილად, 1048 შვილი ჰყავდათ!**

საოცარ თავშეკავებას ვამჩნევდით ამ ოჯახებს, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებზე, ქალისა და კაცის „ამბებზე“ საუბარს ერიდებოდნენ. ის კი არა, ცოლსა და შვილს, ან ქმარსა და შვილს როდესაც ახსენებდნენ, აუცილებლად ბოდიშს მოიხდიდნენ.

– ბოდიში, ჩემი მეინახე და შვილი, ჩემი სიმდიდრეა!.. – იტყოდა ბატონი ივლიანე.

– ცოტა საბოდიშო საქმეა ცოლ-შვილზე საუბარი, მარა...

– პაწა მერიდება ჩემს შვილებზე და „იმ ქალზე“ რომ ვლაპარაკობ, მარა...

...და ასე შემდეგ! და როგორც მერე და მერე მივხვდი, ისინი ამით მოწიწებას გამოხატავდნენ თავიანთი ინტიმური ცხოვრების მიმართ.

ძველ სამეგრელოში დედის გინება არ არსებობდა. თუ კაცი კაცს ძვირ სიტყვას ეტყოდა, ეს იყო: – „სი ღეჯი“, „სი ჯოღორი“, „სი ღეჯიში სქუა“, „სი ჯოღორიში სქუა“, - „შე ღორო“, „შე ძაღლო“, „შე ღორის შვილო“, „შე ძაღლის შვილო“! დედაზე კი მინიშნებითაც არ მიანიშნებდნენ გაბრაზებულები!

ასე იყო მთელს საქართველოში!

მაგრამ საუკუნეებმა მოგვიტანეს „ცივილიზაცია“! დავივიწყეთ ქართველებმა დიდი სიბრძნე: – „სიყვარულსა მალვა უნდა!..“ და იმხელაზე დავაღეთ პირი, რომ დედის გინებას ვინ ჩივის, „გენდერული თანასწორობის“ ძიებაში სექსსა და „მოვტ...ან“ – „მივტ...ანაზე“ ქალებიც კი ისე ალაპარაკდნენ, თითქოს, „სალამ-ქალამი“ ყოფილიყოს! სექსზე „გაქაფული“ ჭორაობა „ელიტარული თავმოწონება“ გახდა. „უსექსოდ ვერ ძლებენ“, „უსექსოდ ყავას ვერ მიირთმევენ“, „უსექსოდ სული ეხუთებათ“, სექსზე უნდა „იჯდნენ“ შინაც და გარეთაც, სამსახურში თუ ორლობეში! სექსზე ჭორაობა გახდა „თავისუფალი ადამიანის“ სიმბოლო!

– ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს! - იტყოდა, ალბათ, ტარიელ ჯინორია, ცოცხალი რომ ყოფილიყო!

...დადიოდა სოფელში ერთი, ტარიელა და იშვიათად ახსენებდა ვინმე მის ნამდვილ სახელსა და გვარს. დადიოდა უმეტესად მარტოხელა, უაღრესად განათლებული, ლამაზი, ჯანმაგარი და ვაჟკაცური, მხიარული და ენამოსწრებული, ანეკდოტების მოყვარული და... თითქოს, ხალისიანი, მაგრამ...

– ე, ბიჭო, ენას ნუ იბინძურებ და მოუკრეფავში ნუ გადადიხარ!.. – საყვედურობდნენ უხუცესები, აბა, ვინ გაუბედავდა სხვა?

ერთხელ ასეთი შენიშვნა რომ მისცა სიპიტო ბიძიამ, ტარიელას თვალებში სევდა შევამჩნიე, მაგრამ ეწყინა და იმიტომ მოწკურა თვალები-მეთქი, გავიფიქრე.

შარშან დაბრუნდა ტარიელა სოფელში. კარგა ხანი იყო არ ენახათ მეზობლებს. დედა და მამა რომ გარდაეცვალა, მაშინ წავიდა, სახლ-კარი მეზობლებს დაუტოვა, ოდესმე დავბრუნდებიო, უთხრა და წავიდა! რას საქმიანობდა ქალაქში, რა თანამდებობა ეკავა, არავინ იცოდა, მაგრამ ამბობდნენ, ქალაქში დიდი ავტორიტეტით სარგებლობსო, ამ ბოლო ხანებში, ხშირად საზღვარგარეთაც დადისო და „ცივილიზაცია“ შემოაქვსო ჩვენს ქვეყანაში! ბევრმა კარგად არც იცოდა რა იყო ეს „ცივილიზაცია“, მაგრამ „რაცხა“ იცოდა, ხომ შემოჰქონდა, თორემ... ხომ არ გაჰქონდა რამე? მთავარი ეს იყო!

...შეუძლოდ გახდა ტარიელა. მთელი სოფელი დაეხვია თავს. ქუთაისში წაგიყვანთ, ან თბილისშიო, ეხვეწებოდნენ მეზობლები, მაგრამ ექიმიც კი არ გაიკარა!

გარდაცვალების წინა დღეს მეზობლის ბავშვი გამომიგზავნა და დამიბარა.

გამიკვირდა. მე ამსოფლელი არ ვიყავი, ხანდახან ჩამოვდიოდი ჩემი ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული „ჟინის“ დასაკმაყოფილებლად და ეგ იყო! არც, მაინცდამაინც, დიდი მეგობრობა მაკავშირებდა ტარიელასთან, მაგრამ მაინც ვეახლე.

ტარიელა ლოგინზე წამოეჯინათ და საბანმოხურული მელოდა.

– გამარჯობათ, ბატონო ტარიელ!

– ეჰ, რა დროს ჩემი ბატონობაა, ჩემო ძმაო!.. მაპატიე, რომ შეგაწუხე, მაგრამ... – მეზობლებს გადახედა.

– მორჩა, ჩემო ძმაო, ჩემი ამბავი და... ამათაც ვერ ვეტყვი იმას, რაც შენ მინდა გითხრა!..

სათითაოდ გავიდნენ ოთახში მყოფნი და კარები მიხურეს მჭიდროდ.

ცოტა სული მოითქვა, სიმხნევე მოიკრიფა და დაიწყო:

– ...მე უკვე დავბრუნდი, წინაპართა სულებმა შემაწუხეს და დავბრუნდი!.. ნამეტან სიტყვაბილწ ადამიანად ვარ ცნობილი სოფელში, გაგიგონია, ალბათ!

– ანეკდოტები უყვარსო, გამიგონია!

– ისე არგამად და თამამად შემეძლო „მოვტ...ან“ – „მივტ...ანაზე“ საუბარი, რომ ახლა ისიც კი მიკვირს, შენთან „იმ სიტყვის“ ნაცვლად თავს ვიკატუნებ და „მივტან“ მოვტანას“ რომ ვამბობ!.. ჰოდა, მაპატიე, ძმაო, შენ რომ გაბარებ ამ აღსარებას... მინდა ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა!..

– რატომ ბოდიშობ შე კაცო, კაცები ხომ ვართ-მეთქი, – ვუპასუხე.

– საქმე ის არის, რომ კაცებმა ასე არ უნდა ილაპარაკონ... მით უფრო საშინელებაა ქალებიც რომ იბინძურებენ ყოფას!.. მძიმე ყოფილა, თურმე, გულზე ნაღველად შემოწოლილი, დაუბრუნებელი წარსულის მოგონება!.. როცა განვლილ გზას გადავხედავ, გული მტკივა, ისე ფუქსავატურად გავლიე ცხოვრება...

შეისვენა! მერე, ღრმად ჩაისუნთქა და ისევ განაგრძნო:

– ... სტრიპტიზი პირველად ბალტიისპირეთში ვნახე... ქალაქ პიარნუში ერთი რესტორანი იყო ზღვაში!.. ვილაც, ფრანგული თუ, იტალიური ჯგუფი იყო ჩამოსული და ბიჭებმა დამპატიჟეს „უჩვეულო ორგიაზე“!.. თვალები შუბლზე ამივარდა ასეთნაირად შიშველი ქალების მნახველს! მერე... მერე ის იყო, რომ ასეთ ხალხში მომინდა გარევა და... წავიდაა!.. საქართველოში პირველად, ბათუმის ერთ-ერთ რესტორანში, ჩუმად მოვაწყვეთ ასეთი „სანახაობა“! ღამის 12 საათის შემდეგ იწყებოდა „ჩვენებები“ და... დაგვესივნენ „კლიენტები“! კაი ფული „მოვხიეთ“ იმ სეზონზე! მერე, იმ სეზონს მეორე სეზონი მოჰყვა, მეორეს მესამე!.. თბილისიც „ავითვისეთ“ და ქუთაისიც... საქართველოში ჩვენ შემოვიტანეთ პირველებმა იაფფასიანი შოუები, სათამაშო ბიზნესი და სხვა უბედურება! დასაწყისში, ცოტა არ იყოს, ბეწვის ხიდზე გავდიოდით... და მაინც, „ახალმა ცხოვრებამ“, სტრიპტიზმა და ორგიებმა „თავისუფლებას“ მიგვაჩვია! „თავისუფლებამ“ და არამმა ფულმა აღვირახსნილობამდე მიგვიყვანა და „მოვტან მივტანას“ და სექსუალურ აღრევას ისე შევაჩვიეთ ყური და გონი, რომ თანდათან „ქუჩაში გავედით“!.. ახალმა ცხოვრებამ მთლად აიშვა აღვირი. აღვირახსნილობამ კი არ იცის დიდი და პატარა, ერთნაირად „იმოსება“ ამ ბადეში ფულიანიც და უფულოც, ოღონდ, ფულიანებმა უფრო იციან აღვირახსნილობის „ფასი“! ახლა, რომ ვუყურებ, ვხედავ, მე და ჩემი „ამფსონები“ ვართ ყოველივე ამის დამწყებნი და სულის ჩამდგმელი და ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ლომის წილი მიდევს ერის გათახსირებაში! გული მწყდება, როდესაც მეორედ თუ მესამედ განათხოვარი ქალის ტკარცალს ვუსმენ და მეოთხედ თუ მეხუთედ გათხოვებაზე რომ ფიქრობს!.. ცხოვრებაში შეიძლება ათასი უბედურება მოხდეს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ თუნდაც, ოდნავი გულისტკივილი მაინც გამოხატონ დანგრეული ოჯახების გამო, გახარებულები ტკარცალ-კისკისით აბრუებენ ქვეყანას!.. ყველაფრის გამასხარავება უზნეობაა! ასეთ „თავისუფლებას“ ერი გადაშენებამდე მიჰყავს! განსაკუთრებით, მაშინ როდესაც ქალები აქტიურობენ!.. საქართველოში ქალი მუდამ იყო სიწმინდის სიმბოლო, ერის დედა, და მას ეთაყვანებოდა ერი!..

ხროტინი აუვარდა.

– ...მე ისე გადავშენდი, რომ შვილ-ძირი არ მრჩება!.. ჩემს სახლ-კარს იმ ბალნებს დავუტოვ, შვიდი რომ ჰყავს ჩემს მეზობელს! მაგრამ ამით მოვინანიებ ცოდვებს?... ვაი, ჩემს პატრონს უბედურს!.. ცივილიზაცია შემომაქვს ქვეყანაში-მეთქი, ვფიქრობდი, იმაზე კი, არ მიფიქრია, ჩვენი კულტურა, ჩემი სამშობლოს ღირსება რომ გამეტანა იქით!.. ფულის გულისთვის გახარჯული სიცოცხლე მაქვს სადარდებელი, ჩემო ძმაო, და ბოდიში მინდა მოვუხადო აღვირი მძლავრი მარჯვენით რომ უჭირავთ და ქართული სულიერებით რომ ამაყობენ იმ ქართველებს! იმ ჩემს მეზობლებს, რომლებიც მერცხლებს და მაფშალიებს უზრდიან მამულს და აღვირახსნილი სიტყვაც არ დაცდენიათ არასოდეს!.. მე მივდივარ და მინდა თან წავიღო ჩემი მოუნანიებელი წარსული!..

**ზაურ ფიფია**

## ◉ კრიმინალი

# მგელი არ იშლის მგლობასა...

**გოგი საყვარელიძე ცოტა ხნის წინათ არაკეთილსინდისიერ საქციელში იყო შემჩნეული, მაგრამ „ვარდოსნებთან“ საკმაოდ დამსახურების გამო მხოლოდ პროკურატურის რიგებიდან დათხოვნა აკმარეს. განაწყენებული საყვარელიძე ადვოკატურაში გადაბარგდა.**

სულ მალე მას უკვე ყოფილი კოლეგები მიადგნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურიდან. სტუმრობის მიზეზი გახდა ერთ-ერთი პატიმრის (გვარს სამართალდამცავთა ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ) საჩივარი. კერძოდ, აპელანტების განცხადებით ადვოკატი მათ საპროცესო გარიგების „ჩაწყობის“ საფასურად 15 ათას ლარს სთხოვდა, პროკურატურა დაინტერესდა საყვარელიძის საქმიანობით და გამოარკვია, რომ შემოსული საჩივრის მსგავსი ფაქტები ადრეც ხშირად ყოფილა მის პრაქტიკაში. ყოფილი პროკურორის თანამზრახველი და შუამავალი აღმოჩნდა ვალერი გაბელაია.

მეწყვილეები ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში საყვარელიძესა და გაბელაიას 9 წლამდე პატიმრობა ელით.

საზოგადოებაში სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს მოსაზრება, რომ ნაციონალები თანამდებობებზე ნიშნავენ მათთვის მისაღებ და ერთგულ პიროვნებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ლებულობენ რა ხელშეუხებლობის გარანტიებს, ყველაფერზე მიდიან. ხოლო როდესაც მეტისმეტი მოსდით, „ცუდ საქციელში“ შემჩნეულებს უბრალოდ ათავისუფლებენ სამსახურებიდან.

იურისტთა მოსაზრებით, სწორედ ასეთი ჯურის ადამიანები არიან ადვოკატისა და მთლიანად ადვოკატურის სახელის გამტეხნი.

# ორსადენიანისთვის – ორთვიანი წინასწარი პატიმრობა

**იმის გამო, რომ საქართველოს ენერგეტიკა ჩვენმა ხელისუფლებამ ფარულად და ნაბიჯ-ნაბიჯ რუსეთს ჩაუგდო ხელთ, განმკარგულებლები ამ სფეროში რფ-ს ფირმები ან მათი სატელიტი ორგანიზაციები არიან, თვით სარეაბილიტაციო სამუშაოებსაც კი ისინი ასრულებენ.** რაც შეეხება თვალის ასახვევად შექმნილ ვითომ ერთობლივ შპს-ებსა და სააქციო საზოგადოებებს, ისინი მხოლოდ მოსახლეობის მოსატყუებლად ატარებენ ქართულ-რუსულის დასახელებს. სინამდვილეში კი ყოველი მათგანი რუსებთან ერთად ხელისუფლების მაღალი ეშელონების რამდენიმე წარმომადგენლის საკუთრებაა.

2006 წლის 7 ნოემბრის №515 დადგენილებით საქართველოს მთავრობამ სომხეთთან 400-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 8 მილიონი ლარი გამოყო. პროექტის მიხედვით ელექტროსადენის გარკვეულ მონაკვეთზე უნდა გაჭიმულიყო სამსადენიანი სადენი (კაბელიძ. სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება რატომღაც სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოს“ დაევალა (ვითომ ჩვენში ამის სპეციალისტები არ მოიძებნებოდნენძ.

მან სამუშაო კი შეასრულა, მაგრამ გარკვეულ მონაკვეთებზე სამიანის ნაცვლად ორსადენიანი კაბელები დაამონტაჟა. ამან კი იმას გარდა, რომ სახელმწიფო აზარალა, შექმნა სერიოზული საფრთხის შესაძლებლობაც.

სამაგიეროდ მოგება ნახეს „საქრუსენერგოს“ იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი შერაძემ და მისმა პირველმა მოადგილემ შოთა მაისურაძემ. მათ მთელი ელექტროგადამცემი ხაზის 3-კაბელიანის ნაცვლად 2-კაბელიანით დამონტაჟებაში გამოყოფილი 8 მილიონიდან 2 138 300 ლარი მიითვისეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ისინი დააკავა.

გენდირექტორსა და მის პირველ მოადგილეს უკვე შეეფარდათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა.

**ზაზა ბილიხოძე**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი**

**რევაზ ბარამიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ვაჟიშვილს ბატონ გიგლა ბარამიძეს და ყველა სხვა ახლობელს.**

---

ზეინაბ ლომჯარია იუწყება, რომ გარდაიცვალა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

მაია დავითის ასული ბიბილეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს.

---

თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

გია ქირია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომლის შოთა ყუფარაძის დედა

ეთერ სეხნიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ◉ ინფორმაცია

# ზღვაზე სკუტერებით მოძრაობა აიკრძალა

**რამოდენიმე დღეში აჭარის ზღვის სანაპიროზე სკუტერებით მოძრაობა აღდგება. სკუტერების მოძრაობის აკრძალვის გადაწყვეტილება სამაშველო ჯგუფმა მიიღო, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად სკუტერების მოძრაობის წესებზე ინტენსიურად მუშაობს.**

**სამაშველო სამსახურმა ზღვაში სკუტერების აკრძალვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ზღვაში სკუტერის მიერ ადამიანების დაშავებისა და უბედური შემთხვევები მოხშირდა. ზღვის სანაპიროზე წყლის მოტოციკლით გადაადგილების პირობები უახლოეს დღეებში დადგინდება.**

**შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ უბედურ შემთხვევას 42 წლის თურქი მოქალაქე სანრი ავჯი ემსხვერპლა. სკუტერის საჭესთან თურქი მოქალაქე იჯდა. როგორც სამართალდამცავებმა დაადგინეს, წყლის მოტოციკლი სწრაფად მოძრაობდა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## განცხადება

**2010 წლის 07 ივნისს ნოტარიუსს საქართველოში სოსო მუმლაძეს მიმართა მანანა პოპოვმა სერგო პოპოვის (დაბ. 09.10.1944 წ. რუსეთში, პირადი ნომერი 01002022221 პ.მ. №Დ0385654, მცხ. ქ. თბილისი, გლდანის V მ/რ, კორპ. 6, ბ 156ძ (გარდაცვალების თარიღი 23.03.2010 წელიძ სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 100545433ძ. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მიმართოთ ნოტარიუს სოსო მუმლაძეს ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 42, 2010 წლის 23 სექტემბრამდე.**

ეს საინტერესოა

# საჭურისების... პროფკავშირი

**თურქეთის სულთანს მურად III მემკვიდრეობად სპარსეთიდან ალჟირამდე და ვენიდან ათენამდე გადაჭიმული აყვავებული, ეკონომიკურად გამართული იმპერია ერგო, ამიტომაც სახელმწიფო საქმეებით თავს დიდად არ იწუხებდა. ამასთან, სულთანს შემოქმედების ნიჭიც ჰქონდა, რომლის წყალობით იგი ისტორიაში შევიდაო როგორც... კომბინირებული ავეჯის გამომგონებელი: მისი ნახაზის მიხედვით ხელისუფლების სიმბოლო – ტახტი – ისე გადააკეთეს, რომ იგი უმალ... დიდებულ სასიყვარულო სარეცლად გადაიქცეოდა!**



სულთანი მურადი თავს იმითაც ირთობდა, რომ თავისი სამასი ადგილობრივი ხარჭის გულის გასახეთქად ხშირად უცხოელ ქალებს უფრო სწყალობდა ხოლმე. თუმცა ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე მისი ფავორიტი ვენეციელი საფია იყო. ოტომანის იმპერიის მაღალი რანგის მოხელეებს, ცხადია, არ მოსწონდათ, რომ სულთანი ხშირად უცხოელი ქალის კარნახით მოქმედებდა, ამიტომ მურადის დედის ხელშეწყობით „დაამხეს" გადამთიელი საფია და სულთანი ჰარამხანასთან დაკავშირებულ ძველთაძველ ტრადიციებს დაუბრუნეს.

რაში მდგომარეობდა ეს წესები, რომლებსაც სულთანთა შორის ყველაზე სახელოვანი სულეიმან I კი მორჩილად ასრულებდა? პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სულთანები მრავალცოლიანები სულაც არ ყოფილან, ვინაიდან, კანონის თვალსაზრისით, ჰარამხანის მკვიდრნი მხოლოდ მონები იყვნენ. რომელთა სიცოცხლის ერთადერთი განმკარგველი მათი მბრძანებელი იყო. მატიანეში აღწერილია შემთხვევა, როცა ერთ ღამეს უგუნებოდ მყოფმა ერთ-ერთმა სულთანმა მთელი ჰარამხანის წყალში დახრჩობა ბრძანა. **ექვსი საუკუნის მანძილზე არც ერთ სულთანს ცოლი არ შეურთავს!**

მეორე მხრივ, სახელმწიფო საქმით დაღლილ და კარგად დანაყრებულ სულთანს რომელიმე ხარჭის მოხმობა, სასახლის ეთიკეტის მიხედვით, არ შეეძლო: ნავახშმევს მას აუცილებლად ჯერ დედა უნდა მოენახულებინა და განცხრომაზე მერე ეფიქრა. ამის შემდგომაც, მის ამორჩეულს ჯერ აბანოში წაიყვანდნენ, სადაც ოცი მექისე ქალი დაბანდა, მერე საჭურისი მასაჟისტები მიხედავდნენ, რომლებიც მეტი საიმედოობისთვის თანაც თვალდათხრილები იყვნენ, შემდეგ კი დალაქები ტურფა ქალს ღერა-ღერა ყველა ბუსუსს დააცლიდნენ... ამის მერე საჭურისთა სხვა გუნდი მბრძანებლის რჩეულს ხელ-ფეხზე ფრჩხილებს მოუწესრიგებდა, შემდეგ ჯერი პარფიუმერებზე მიდგებოდა, ხოლო მრავალეტაპიანი პროცესი თმის დავარცხნით და წარბების შეღებვით სრულდებოდა. ყველა ეს პროცესი სამ-ოთხ საათს გრძელდებოდა ხოლმე, ამდენად ადვილად წარმოსადგენია ამ დროს სულთანის მოუთმენლობა...

ბოლოს აცახცახებული ლამაზმანი ხელმწიფესთან შეჰყავდათ და თხელ კარსაც იხურავდნენ, რომლის გარეთ ექვსი ხნიერი ქალი იდგა სანთლებით ხელში. დილით ლოგინიდან პირველი სულთანი დგებოდა და აბანოში მიბრძანდებოდა, ხოლო ხარჭას უფლება ჰქონდა, მისი ტანსაცმლის ჯიბეები მოეჩხრიკა და მთელი ნაპოვნი ფული თან წაეღო, თანაც ეს დროზე უნდა მოესწრო, რადგან სულთნის მოსვლამდე მას ისევ ჰარამხანაში აბრუნებდნენ. სასახლის მემატიანეებს მისი სახელი და ხელმწიფესთან ყოფნის თარიღი საგულდაგულოდ შეჰქონდათ დავთარში და თუ ცხრა თვის შემდეგ იგი ვაჟს გააჩენდა (გოგონებს სათვალავში არ იღებდნენ), ჩანაწერი იმის მტკიცებულება იყო, რომ ბიჭი სულთანის მემკვიდრე გახლდათ.

მეუფესთან გატარებული ღამე ხარჭის სტატუსს



განუზომლად აღამაღლებდა ჰარამხანის იერარქიაში, რადგან ბევრ ქალს ეს ბედნიერება შეიძლება არც არასდროს ღირსებოდა. ხოლო ვაჟის გამჩენი ქალები დიდ პატივში იყვნენ, ცალკეც ცხოვრობდნენ და თავის ამალაც ჰყავდათ, მათ „კადინას" ტიტულს ანიჭებდნენ. უფროს-უმცროსობა კადინებს შორისაც იყო, პირველობდა პირმშოს დედა, ხოლო საკუთარი სურვილისდა მიუხედავად, სულთანი ვალდებული იყო, მასთან ყოველი ხუთშაბათის ღამე გაეტარებინა.

1909 წელს თურქეთში ჰარამხანები აკრძალეს და აღშფოთებულმა საჭურისებმა თავიანთი უფლებების დასაცავად ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი „პროფკავშირიც" კი შექმნეს, თუმცა ამაოდ...

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

დღის კალენდარი

## 10 აგვისტო

**ხსენება ღირსი გიორგი მაშენებლისა (ათონელისა, 1033წ., წმ. მოციქულ დიაკონთა 70-თაგან პროხორესი, ნიკანორისა, ტიმონისა და პარმენისა; წმ. მოწამეთა: იულიანესი, ესტატესი და აკაკისა.**



ამოდის 05.04
ჩადის 19.08



ამოდის 05.15
ჩადის 19.05

### დაიბადნენ:

**45 – პლუტარქე,** ძველი საბერძნეთის დიდი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და ეთიკოსი. გარდაიცვალა 125 წელს.
**1888 – გიორგი ნიკოლაძე,** მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1931 წელს.
**1897 – რაჟდენ გვეტაძე,** ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1952 წელს.
**1912 – ჟორჟი ამადუ,** გამოჩენილი ბრაზილიელი მწერალი. გარდაიცვალა 2001 წელს.
**1925 – გრიგოლ თუმანიშვილი,** ბიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
**1935 – გაი ყანჩელი,** კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
**1940 – ანზორ ერქომაიშვილი,** ლოტბარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
**1953 – ზურაბ ყიფშიძე,** თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი.
**1960 – ანტონიო ბანდერასი,** ესპანელი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

**1759 – ფერდინანდ VI,** ესპანეთის მეფე.
**1907 – მარკო ვოვჩოკი,** უკრაინელი მწერალი.
**1988 – არიას არნულფო,** პანამის პრეზიდენტი.

### მოვლენები:

**1500 წელი** – პორტუგალიელმა ზღვაოსანმა დიეგო დიაშმა აღმოაჩინა მადაგასკარის კუნძული.
**1519 წელი** – ფერნანდო მაგელანმა დაიწყო მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა.
**1759 წელი** – კარლოს III ესპანეთის მეფე გახდა.
**1793 წელი** – ლუვრში სამხატვრო მუზეუმი გაიხსნა.
**1833 წელი** – დაარსდა ქალაქი ჩიკაგო.
**1966 წელი** – გაუშვეს „Orbiter I", მთვარის პირველი ამერიკული თანამგზავრი.

**ღირსსახსოვარი დღე:**
**ეკვადორი** – რესპუბლიკის დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8382 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4297 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.9294 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0720 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0515 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2958 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3362 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2149 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7213 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +21 – +35 |
| ქუთაისი. | +26 – +38 |
| ბათუმი. | +23 – +34 |
| ზუგდიდი. | +23 – +34 |
| თელავი. | +20 – +32 |

კადრი



ანეკდოტები

გუშინ შევრცხვი – სამსახურში მხოლოდ შორტითა და უმკლავო მაისურით მივედი. კოლეგებმა დამცინეს, – ბარემ ქურქით მოსულიყავიო.

* * *

ფული ნაღდად არ არის ბოროტება – ბოროტება ასე სწრაფად არ ქრება.

* * *

– ქვირფასო, ეს ღამე, უბრალოდ, დიდებული იყო, – ეუბნება ქმარი ცოლს.
– მართლა?
– მართლა!



– მაშინ იქნებ დღესაც დედაჩემთან გავითენო ღამე?

* * *

სვანი მანქანას რეცხავს. ჯერ საბურავებს მიადგა გასაწმენდად.
– რას შვრები? – ეკითხება ძმაკაცი.
– ვერა ხედავ, კაცო, მანქანას ვრეცხავ.
– თუ ასეა, ზემოდან უნდა დაიწყო რეცხვა.
– ჰო, მასე ვქენი გუშინ, მაგრამ ნომრებამდე რომ ჩამოვედი, თურმე სხვისი მანქანა ყოფილა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.